F 171
973

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა
კრებული

5

СБОРНИК
ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

მ ა ი ს ი

თბილისი 1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე

ფასი 14 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VII-73 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4,25

შეკვ. № 674 უე—05692 ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11 Главполиграфпрома Государственного Комитета по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета Министров Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F 3809

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

1973 წლის 2 მარტის ბრძანება № 152

ზაფხულის არდადეგების დროს მშენებლობასა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში რესპუბლიკის სტუდენტთა და უფროსკლასელთა მასობრივი მონაწილეობის თაობაზე

სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზაფხულის არდადეგების დროს მშენებლობებსა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთა მასობრივ მონაწილეობას.

ზაფხულის პერიოდში მოსწავლეთა პრაქტიკულ საქმიანობას დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლებისა და აღზრდის კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის, მოსწავლეთა მომზადებისათვის პროფესიის შეგნებულად არჩევისა და სახალხო მეურნეობაში შრომისათვის. იგი წარმოადგენს მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ეფექტურ საშუალებას.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციებს უკვე შეძენილი აქვთ ამ მიმართულებით გარკვეული გამოცდილება. 1972 წლის ზაფხულის არდადეგების პერიოდში რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმატებით შრომობდა მოსწავლეთა 1500-ზე მეტი საწარმოო ბრიგადა.

მოსწავლე ახალგაზრდობის საწარმოო ბრიგადებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სასკოლო შენობის რემონტში, სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე შრომაში, სპორტული მოედნების, სახელოსნო-

ების, კაბინეტების მშენებლობასა და მოწყობაში, სკოლის ტერიტორიის კეთილმოწყობაში, სკოლის ზამთრისათვის მომზადებაში, მწარმოებლურ შრომაში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მრეწველობის საწარმოებში, მომსახურების სფეროსა და სატყეო მეურნეობებში, ობიექტების მშენებლობასა და რემონტებში, ქალაქისა და სოფლის კეთილმოწყობასა და გამწვანებაში, ბუნების დაცვაში და სხვა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, მოიწონა რა ამ საქმეში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივა, შექმნა რესპუბლიკური მთავრობის კომისია, რომელსაც დაევალა სტუდენტთა და უფროსკლასელთა შრომითი მოღვაწეობის, მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურულ-მასობრივი მომსახურების საკითხების კოორდინაცია და გადაწყვეტა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებს:

ა) ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გაშალონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელთა შორის ზაფხულის არდადეგების დროს მშენებლობისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მასობრივად მონაწილეობის მიღებისათვის;

ბ) ზაფხულის არდადეგების დროს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ორგანიზებული წესით ჩააბან უფროსი-VII-X კლასების მოსწავლეები;

გ) მოსწავლეთა საზაფხულო პრაქტიკული სამუშაოების შინაარსი განსაზღვრონ მათი ასაკის, სქესისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, სკოლის საშეფო საბავშვო დაწესებულებების, ადგილობრივი საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნათა შესაბამისად;

დ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შექმნან მოსწავლეთა რამოდენიმე შრომითი კოლექტივი: შრომისა და დასვენების ბანაკი ან მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადა, რგოლი, სასკოლო-საცდელ ნაკვეთზე სამუშაოდ ან საამშენებლო-სარემონტო რაზმი და ა. შ.;

ე) გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება როგორც მოსწავლეთა

შრომით კოლექტივებს შორის, ისე თვით კოლექტივებს შიგნით, როგორც შრომის ორგანიზაციის აუცილებელი ელემენტი. ნათლად განსაზღვრონ სოცშეჯიბრის პირობები, მისი ჩატარების ფორმები, შედეგების დაჯამების ვადები, შრომაში გამოჩენილი მოსწავლეები წაახალისონ სიგელებით,საჩუქრებით, ნიშნებით და სხვა ჯილდოებით;

ვ) ზაფხულის პრაქტიკულ სამუშაოზე დაუშვან მხოლოდ ჯანმრთელი ბავშვები, რისთვისაც ამ ღონისძიების დაწყებამდე ჩაატარონ ღრმა სამედიცინო შემოწმება, გაუკეთდეთ მათ პროფილაქტიკური აცრები;

ზ) ფართოდ გააცნონ მოსწავლეებს უსაფრთხოების ტექნიკის, ხანძარმოო სანიტარიისა და ჰიგიენის წესები და ინსტრუქციები;

თ) გაითვალისწინონ, რომ 15—16 წლის მოსწავლეთა სამუშაო დღის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4, ხოლო 17—18 წლისა—6 საათს. ამასთან, საზაფხულო პრაქტიკული სამუშაოების ხანგრძლივობა ზაფხულის პერიოდში არ უნდა აღემატებოდეს 4—6 კვირას და ისიც მხოლოდ დღის საათებში;

ი) ზაფხულის პრაქტიკული მუშაობის დროს მომუშავე მოსწავლეებთან ჩაატარონ:

პოლიტიკური მუშაობა

ფართო იდეურ-პოლიტინფორმაციები, (გაზეთის კითხვა, რადიოგადაცემის მოსმენა, შეხვედრები საზოგადოების წარმომადგენლებთან და სხვ.).

კულტურულ-მასობრივი მუშაობა (მხატვრული თვითმოქმედება, კინოფილმების ჩვენება, მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებების კითხვა და განხილვა, სხვადასხვა კონცერტები ,ოლიმპიადები, გამოფენები და სხვ.).

სპორტულ-გამაჯანსაღებელი აღმზრდელობითი მუშაობა (დილის გამამხნევებელი ვარჯიშები, სპორტული თამაშები, შეჯიბრებები და სხვ.).

პროფესიული ორიენტაციის მუშაობა (უშუალოდ შრომითი მოღვაწეობის დროს პროფესიების გაცნობა, ექსკურსიების ორგანიზაცია, მუშებთან და სპეციალისტებთან შეხვედრები და სხვ.).

კ) მოსწავლეთა რაზმების ხელმძღვანელ პედაგოგ-აღმზრდელებად გამოყონ კომუნისტი-მასწავლებლები, რომელთაც აქვთ მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებთან, ახალგაზრდების რაზმებთან მუშაობის სათანადო გამოცდილება. სკოლის დირექტორის მიერ დანიშნული პედაგოგ-აღმზრდელი, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორებთან ერთად, სრული პასუხის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგებელია მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებში მუშაობის დაცვაზე.

2. ასსრ განათლების მინისტრებმა, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) შესაბამის კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად დააზუსტონ მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე შექმნილი უფროსკლასელ მოსწავლეთა ბრიგადებისა და მათში გაერთიანებულ მოსწავლეთა რაოდენობა და დაჯამებული ცნობები წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ა/წლის I-ლ აპრილამდე, ხოლო საზაფხულო პრქტიკული სამუშაობის დამთავრების შემდეგ 1973 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის—საბოლოო ცნობები ამ ღონისძიებაში ჩაბმული ბრიგადების, მოსწავლეთა რაოდენობის, მათ მიერ შესრულებული სამუშაოებისა და სხვათა შესახებ;

ბ) განახორციელონ სისტემატური ხელმძღვანელობა და გაუწიონ კოორდინაცია რაიონის, ქალაქის, ოლქის, ავტონომიური რესპუბლიკის მოსწავლეთა სასარგებლო შრომას, მისცენ მას სწორი მიმართულება, შეისწავლონ და განაზოგადონ მოწინავეთა გამოცდილება.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) დააჯამოს წარმოდგენილი მასალები საზაფხულო პრაქტიკულ სამუშაოებში მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ და შედეგი მომახსენოს;

ბ) მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების განხორციელებაზე.

4. აღნიშნული ბრძანება დაიბეჭდოს გაზეთ „სახალხო განათლების“ უახლოეს ნომერში და ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973წლის 22 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიების

დადგენილება

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

22 მარტი, 1973 წელი

1973 წლის 5-დან 20 თებერვლამდე საქართველოს სსრ განათლებისა და იუსტიციის სამინისტროების გაერთიანებული ბრიგადის მიერ შემოწმებულ იქნა საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების სწავლების მდგომარეობა გორის, ზესტაფონის, ყვარლის რაიონების, ქალაქების: თბილისის, ქუთაისისა და გორის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში. შესწავლილ იქნა აგრეთვე შესაბამისი ქალაქებისა და რაიონების განათლების, იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების მიერ ჩატარებული მუშაობა ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის ხაზით.

საქართველოს სსრ განათლებისა და იუსტიციის სამინისტროების კოლეგიები, რომლებმაც განიხილეს ბრიგადის მიერ წარმოდგენილი მასალები, აღნიშნავენ, რომ გასულ 1971—1972 სასწავლო წლიდან დღემდე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მოსწავლეთა სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის საქმეში გარკვეული წარმატებებია მოპოვებული. განათლების, იუსტიციისა და სასამართლოს ადგილობრივმა ორგანოებმა და სკოლების ხელმძღვანელებმა მნიშვნელოვანი ერთობლივი ღონისძიებანი განახორციელეს სკოლებში საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის უფრო მასობრივად შემოღებისა და საერთოდ, სამართლებრივი საკითხების სწავლების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. მათ მიერ შემუშავებული ერთობლივი გეგმების შესაბა-

მისად, სკოლებში ჩატარდა ლექციები, საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები სამართლებრივ თემებზე იუსტიციისა და სასამართლოს მუშაკების მონაწილეობით. შერჩევით მოეწყო უფროსკლასელთა დასწრება (ქ. თბილისში, ქუთაისსა და ზესტაფონში) სასამართლო პროცესებზე.

ჩატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი საბჭოთა კანონმდებლობის ფაკულტატიური სწავლების უფრო მასობრივად შემოღებას. გასულ 1971-72 სასწავლო წელს აღნიშნული კურსი მხოლოდ 10 სკოლაში ისწავლებოდა, მიმდინარე სასწავლო წელს კი საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური სწავლება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო 1573 საშუალო სკოლიდან შემოღებულ იქნა 260 სკოლაში იუსტიციის და სასამართლო ადგილობრივმა ორგანოებმა მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინეს განათლების განყოფილებებსა და სკოლებს საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის მასწავლებელთა შესარჩევად. ამ კურსის სწავლება ისტორიკოსებსა და იურისტებს დაევალათ. განათლების სამინისტროს მითითების საფუძველზე გასული წლის ზაფხულის პერიოდში მოეწყო 5 დღიანი გადასამზადებელი კურსები საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლებისათვის.

მიმდინარე სასწავლო წელს განათლების სამინისტრომ მეორედ გამოსცა საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის გადამუშავებული და შესწორებული პროგრამა. ამასთან ერთად, მომზადდა და გამომცემლობას გადაეცა საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის სახელმძღვანელო, რომლის ავტორია პროფ. გ. ინწკირველი.

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა სკოლებში საზოგადოებათმცოდნეობისა და საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის სწავლების მატერიალური ბაზის განმტკიცების მიზნით. ახლა სკოლებში მასწავლებლები იყენებენ თვალსაჩინოებას—სასკოლო ფილმებს, დიაგრამებს, ტაბულებს, სქემებს, ფოტორეპროდუქციებს, აგრეთვე წიგნებსა და ჟურნალების ილუსტრაციების სამართლებრივი საკითხების სწავლების პროცესში.

გაუმჯობესდა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშობა სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის მიზნით. ბევრ სკოლაში ეწყობა მოსწავლეთა კონფერენციები და თემატიკური გამოფენები სამართლებრივ საკითხებზე; შექმნილია ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები.

შემოწმების პერიოდში საზოგადოებათმცოდნეობისა და საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის ბევრი კარგი მასწავლებელი გამოვლინდა: მაგალითად, კარგად, საინტერესოდ ასწავლიან საზოგადოებათმცოდნეობასა და საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლებს ფაკულტატიური კურსის მასწავლებლები: ლ. სიჭინავა და მ. თათეიშვილი (ქუთაისის 1-ლი და 32-ე საშ. სკოლები), მ. ჭანტურიძე და ლ. ბონდარენკო (ზესტაფონის მე-2 და მე-4 საშუალო სკოლები), ტ. გელიაშვილი, ლ. კაზაროვი, ა. ლომიძე, პ. ტყემალაძე (ქ. თბილისის 31-ე, 41-ე, 65-ე და 127-ე საშუალო სკოლები). დასახელებული მასწავლებლები პროგრამული მასალის სწავლებისას ფართოდ იყენებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მასალებს „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ.“ ამასთან კავშირში გეგმაზომიერად მოაქვთ მაგალითები თავისი ქალაქის, რაიონისა და სოფლის ცხოვრებიდან.

ამასთანავე, მოსწავლეთა სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს:

განათლების, იუსტიციისა და სასამართლოების ცალკეულმა ადგილობრივმა ორგანოებმა არ ჩაატარეს სათანადო მოსამზადებელი მუშაობა საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის სწავლების შემოღებისა და ამ კურსის მასწავლებელთა დროულად შერჩევის უზრუნველსაყოფად. საქართველოს სსრ განათლებისა და იუსტიციის სამინისტროების 1972 წლის 22 ივნისის დადგენილებით, განათლების, იუსტიციისა და სასამართლოების ადგილობრივ ორგანოებს დაევალათ, საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით, სათანადო მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შესახებ ანგარიშისა და ცნობების (თანდართული ფორმის მიხედვით) წარმოდგენა შესაბამის სამინისტროებში 1972 წლის 1 დეკემბრამდე. მიუხედავად ამისა, იგი დღემდე არ გამოუგზავნიათ აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს, ასპინძის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, დმანისისა და ლენტეხის რაიონებს, ხოლო ჩოხატაურის, მარნეულის, საგარეჯოს რაიონებისა და ქ. რუსთავის განათლების განყოფილებებმა ცნობები გამოგზავნეს დაგვიანებით.

გაკვეთილებსა და ფაკულტატიურ მეცადინეობებზე დასწრებამ და მოსწავლეებთან გასაუბრებამ დაგვარწმუნა, რომ ზოგიერთ სკოლაში დაბალია სამართლებრივი ცოდნის დონე, მოსწავლეთა

დიდი ნაწილი ცუდად ერკვევა სოციალისტური სამართლის ელემენტარულ დებულებებშიც კი, ვერ ანსხვავებს დანაშაულისაგან, სიცელქეს—კანონის დარღვევისაგან, მოსწავლეთა ნაწილს მიაჩნია, რომ კანონის დარღვევის შემთხვევაში მათ მაგივრად პასუხს აგებენ სკოლა და მათი მშობლები, ისინი ვერ ხედავენ ლოგიკურ კავშირს მოსწავლეთა ყოფაქცევის წესებსა და სოციალისტური სამართლის ნორმებს შორის.

სამართლებრივი საკითხების სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს ქ. თბილისის 23-ე (მასწ. გ. მანტკავა), 127-ე (მასწ. ავაჯანოვა), მე-11 (მასწავლებელი ე. ეგანოვა), 133-ე (მასწ. რ. იჯამოვა) სკოლების მოსწავლეებმა. 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელ-იურისტ გ. მანტკავას არ აქვს პედაგოგიური გამოცდილება, გაკვეთილის დროს ვერ იყენებს რაციონალურად, მან 25 წუთი მოანდომა ფრონტალური კითხვებით კლასის შემოწმებას და დამაკმაყოფილებლად ვერ ახსნა მასალა.

119-ე და 133-ე საშუალო სკოლის IX-X კლასების მოსწავლეებმა (მასწავლებლები ე. ეგანოვა, რ. იჯამოვა) ვერ განმარტეს, რა არის სახელმწიფო, არ ესმით, რა განსხვავებაა სამართლისა და მორალის ნორმებს შორის.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია ფაკულტატიური მეცადინეობის ჩატარების ორგანიზაციულ ფორმებში. მასწავლებელთა საკმაოდ დიდი ნაწილი ფაკულტატიურ მეცადინეობას ატარებს ჩვეულებრივი ტიპის გაკვეთილის სახით; ახალი მასალის ახსნას უთმობს 20 — 25 წუთს, არ აჩვევს მოსწავლეებს მოხსენებების მომზადებასა და მოსწავლეთა კოლექტივის წინაშე გამოსვლას. არ ტარდება სემინარული მეცადინეობები და კონფერენციები საკვანძო თემების გარშემო. არ ეწყობა თემატიკური გამოფენები და სხვ. კომბინირებული გაკვეთილის სახით ატარებენ ფაკულტატიურ მეცადინეობებს გორის რაიონის სოფ. ხიდისთავისა და კარალეთის, ქ. თბილისის 23-ე, 119-ე და 133-ე საშულო სკოლების მასწავლებლები.

ზოგიერთ სკოლაში საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის შესწავლას 70 საათის ნაცვლად IX-X კლასებში უთმობენ 140 საათს. მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ იცნობს განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდირებული საპროგრამო მასალის სანიმუშო განაწილებას და არასწორად ანაწილებს დროს. გორის რაიონის ხიდისთავის საშუალო სკოლაში მასწავლებელმა-იურისტმა პროგრამის პირველ თემას 6 საათის ნაცვლად დაუთმო 2 საათი, მეორე თემას ნაცვლად 12 საათისა—2 საათი,

ხოლო მე-7 თემას ნაცვლად 5 საათისა—2 საათი. ქ. გორის მე-7 საშუალო სკოლაში არასწორადაა შედგენილი ფაკულტატიური მეცადინეობის ცხრილი.

შემოწმების დროს გამოვლინდა, რომ იურისტ-მასწავლებლებს აკლიათ პედაგოგიური დახელოვნება, უძნელდებათ გაკვეთილისა და ფაკულტატიური მეცადინეობის სწორად წარმართვა, ვერ ითვალისწინებენ ფაკულტატიური მეცადინეობის სპეციფიურობას, ხოლო ისტორიკოს-მასწავლებლებს უძნელდებათ იურიდიული საკითხების სათანადო სიღრმით გაშუქება. აღნიშნული გარემოება უარყოფითად მოქმედებს მეცადინეობის ჩატარების ხარისხზე, ადუნებს იურიდიული საკითხებისადმი მოსწავლეთა ინტერესსა და მისწრაფებას.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლებისა და იუსტიციის სამინისტროს კოლეგიები ადგენენ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იუსტიციის განყოფილებამ, ქალაქებისა და რაიონების სახალხო სასამართლოებმა ერთობლივად შეიმუშაონ ღონისძიებანი სკოლებში მოსწავლეთა სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით იხელმძღვანელონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებითა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა სასწავლო წლის დამთავრებამდე შეამოწმონ სკოლებში საბჭოთა კანონმდებლობის ფაკულტატიური კურსის შესასწავლად გამოყოფილი საათების სისწორე და გაატარონ შესაბამისი ღონისძიებანი არსებული დარღვევების აღმოსაფხვრელად.

3. სკოლების დირექტორებმა, საზოგადოებათმცოდნეობისა და საბჭოთა კანონმდებლობის ფაკულტატიური კურსის მასწავლებლე-

ბმა აღნიშნული საგნების სწავლების საფუძვლად დაუდონ ზემდგომი სადირექტივო ორგანოების დადგენილებანი, აამაღლონ საბჭოთა კანონმდებლობის საკითხების სწავლების ხარისხი, საზოგადოებათმცოდნეობის გაკვეთილებისა და ფაკულტატიური მეცადინეობებზე. გააუჯმობესონ და უფრო მრავალფეროვანი გახადონ ფაკულტატიური მეცადინეობის სწავლების ფორმები, გზები და საშუალებანი.

4. გააუმჯობესონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის მიზნით სისტემატურად მოაწყონ გამოფენები, კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები იუსტიციის, მილიციისა და სასამართლოების მუშაკებთან.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იუსტიციის განყოფილებამ, ქალაქებისა და რაიონების სახალხო სასამართლოებმა უფრო მეტი დახმარება აღმოუჩინონ სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს და სკოლებს მოსწავლეთა სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის გაუმჯობესების საქმეში, დაეხმარონ მათ ლექციების, მოხსენებებისა და სხვა სახის ღონისძიებათა ჩატარებაში. გააცნონ მოსწავლეებს იუსტიციის, მილიციისა და სახალხო სასამართლო ორგანოების სტრუქტურა და მოღვაწეობა. ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობისა და კანონმდებლობის საფუძვლების მასწავლებელთა მეთოდურ გაერთიანებებზე უზრუნველყონ კვალიფიციური იურისტების მიერ ლექცია-მოხსენებების წაკითხვის ორგანიზაცია კანონმდებლობის აქტუალურ თემებზე.

6. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) მიმდინარე წლის ზაფხულის პერიოდში მოაწყოს საზოგადოებათმცოდნეობისა და საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოს იურისტ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება ძირითადად პედაგოგიკა-მეთოდიკაში, ხოლო ისტორიკოს-მასწავლებელთა გადამზადება-იურიდიული მეცადინეობის დარგში. კურსებზე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ფაკულტატიური მეცადინეობის ჩატარების მეთოდებისა და საშუალებების საკითხების გაშუქებას.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებამ და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდის სამმართველომ ახალი, 1973-74 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოს საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის სახელმძღვანელოს გამოცემა.

8. შრომითი და პოლიტექნიკური სწავლებისა და სასკოლო ტექნიკურ საშუალებათა რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. დ. გვალია) და მეთოდურმა განყოფილებამ (ამხ. ვ. ცაავა) საშუალო რგოლების სასწავლო-სატელევიზიო გადაცემათა პროგრამაში უფრო ფართოდ გაითვალისწინონ საკითხები მოსწავლეთა სასამართლებრივი განათლებისა და აღზრდის შესახებ.

9. გაზეთ „სახალხო განათლების", ჟურნალების—„სკოლა და ცხოვრების" და „საბჭოთა სამართლის" რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ მოსწავლეთა სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის აქტუალური საკითხები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის
თავმჯდომარე **თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის
თავმჯდომარე **ვ. მაისურაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

1973 წ. მარტის ბრძანება №195

გაზეთ „სახალხო განათლების" სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

გაზეთ „სახალხო განათლების" პერიოდულობის გაზრდისა და მუშაობის გაფართოების გამო,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

შეიქმნას გაზეთ „სახალხო განათლების" სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით:

შველიძე ნიკოლოზ დავითის ძე-გაზეთის რედაქტორი;

ბაიაძე ვასილ პეტრეს ძე—გაზეთის რედაქტორის მოადგილე;

სიმონიშვილი ვლადიმერ ილიას ძე—გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი;

ალავერდაშვილი გიორგი ივანეს ძე—გაზეთის განყოფილების გამგე;

ფაილოძე ნათელა ილარიონის ასული—გაზეთის განყოფილების გამგე;

ჩიქოვანი ჯუმბერ სერგოს ძე—გაზეთის განყოფილების გამგე;

ასლანიშვილი ალვენ ალექსის ძე—გაზეთის განყოფილების გამგე;

მეძმარიაშვილი ელენე გიორგის ასული—გაზეთის განყოფილების გამგე;

ზურაშვილი ვალერიან ვასილის ძე—გაზეთის განყოფილების გამგე;

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

1973 წ. მარტის ბრძანება №228

კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ ხსენებული დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექციას და პედაგოგიურ კოლექტივს გარკვეული წარმატებები აქვთ მოპოვებული მუშაობაში.

სკოლა-ინტერნატში ზოგიერთ კლასებში დამაკმაყოფილებლად ისწავლება ქართული ენა (მასწ. ნ. ყენია), არითმეტიკა (მასწავლებლები: ლ. ძნელაძე, რ. კალანდაძე და ისტორია (მასწ. დ. კუტალაძე). I, IV, V და VII კლასების აღსაზრდელთა აკადემიური წარმატება დამაკმაყოფილებელია.

სკოლა-ინტერნატში სწორადაა დაგეგმილი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. გეგმებში ასახულია სკოლა-ინტერნატის საქმიანობის მნიშვნელოვანი საკითხები. პედაგოგიურ კოლექტივთან მეთოდური მუშაობა ხორციელდება კლასის ხელმძღვანელთა და აღმზრდელთა მეთოდგაერთიანების, გაკვეთილებზე მასწავლებელთა და აღმზრდელთა ურთიერთდასწრებისა და მოსმენილი გაკვეთილების გაანალიზების გზით. აღმზრდელთა მუშაობაზე ხორციელდება სისტემატური კონტროლი და დახმარება.

სკოლა-ინტერნატში დაცულია გათბობისა და განათების ნორმები როგორც სასწავლო, ასევე საძინებელ კორპუსებში აღსაზრდელები უზრუნველყოფილი არიან პირადი ჰიგიენის ნივთებით. სისტემატურად ტარდება ბავშვთა გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, აღსაზრდელებს სუფთა და მორგებული ტანსაცმელი აცვიათ.

მიუხედავად აღნიშნულისა, კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნ-

ატის მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს: არ სრულდება კონტინგენტის გეგმა, ნაცვლად 200-ისა გათვალისწინებული 200-სა დღეისათვის ირიცხება 168 აღსაზრდელი. პირველი მეოთხედის ბოლოს VIII კლასის 5 მოსწავლიდან 3 არ შეფასებულა; III და VI კლასების აღსაზრდელებმა: მ. თოდუამ ჟ. მეხეშიძემ, ნ. მჟავანაძემ, ნ. მაჭარაშვილმა დაბალი მაჩვენებლებით დაამთავრეს მიმდინარე სასწავლო წლის I მეოთხედი.

არსებითი სახის ნაკლოვანებებით ხასიათდება ცალკეული საგნების სწავლება. ქართული ენის მასწავლებელი ქ. თურმანიძე კმაყოფილდება მხოლოდ სახელმძღვანელოში მოცემული ფაქტებით და არ ახდენს გრამატიკული კატეგორიების გაცნობიერებას.

III კლასში მასწავლებელი ს. გვალია შრომით სწავლებაში გაკვეთილის თემას იმისდამიხედვით არჩევს, თუ რის ჩატარების შესაძლებლობა გააჩნია ინტერნატს, მან სასწავლო წლის პირველი მეოთხედი არაპროგრამული მასალის—პლასტილინზე მუშაობის სწავლებას დაუთმო.

სადურგლო სახელოსნოში დამონტაჟებული არ არის სარანდო და სახარატო ჩარხები, მწყობრიდანაა გამოსული სადურგლო დაზგები.არ აქვთ სამუშაო მასალები და საგნის სწავლებისათვის სხვა დიდაქტიკური საშუალებანი, აკლიათ ზოგიერთი სახის იარაღი: ასევე შევსებას და კეთილმოწყობას საჭიროებს სამკერვალო სახელოსნო.

აღმზრდელ-მასწავლებელთა ერთი ნაწილი სათანადო ყურადღებას ან აქცევას მოსწავლეთა აკადემიური წარმატების აღრიცხვის საქმეს; IVდა V სააღმზრდელო ჯგუფების ჟურნალებში (აღმზრდელები: მ. გაგუა, მ. მეგრელიშვილი, ნ. მაღულარია) არ არის შეტანილი მოსწავლეთა მიმდინარე აკადემიური წარმატება. მასწავლებელი ქ. თურმანიძე სისტემატურად არ აფასებს მოსწავლეებს და საკლასო ჟურნალში არ შეაქვს მათი ნიშნები;

სკოლა-ინტერნატში რუსულ ენას ასწავლის არასპეციალისტი გ. მაქარეიშვილი.

სკოლა-ინტერნატი არაა დაკომპლექტებული სათანადოდ შერჩეული კადრებით.

იმის გამო, რომ ჭიანურდება რემონტი, სკოლა-ინტერნატი ვერ სარგებლობს სპორტდარბაზით, ცუდ ამინდებში ფიზკულტურის გაკვეთილები ტარდება საკლასო ოთახებში.

არადამაკმაყოფილებლად დგას სკოლა-ინტერნატში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა და აღმზრდელთა სამედიცინო მომსახურება. ბავშვთა ისტორიაში შეტანილი არ არის ფსიქიური განვითა-

რების მონაცემები, მიმდინარე წელს ჩატარებული არ არის აღსაზრდელთა ღრმა სამედიცინო შემოწმება, ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა სწორ ჯდომასა და სხვა.

სკოლა-ინტერნატის საძინებელ და სამეურნეო კორპუსში ზოგი ადგილი დანესტიანებულია, ჭერიდან ცვივა შენალესი. სპორტდარბაზის ახლადგალესილ ჭერს გაჩენილი აქვს ბზარები, საძინებელი კორპუსის პირველი სართული ავარიულ მდგომარეობაშია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. კოხნარის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა (ამხ. ი. ცხოიძე):

ა) სასწავლო პროცესის სწორი ორგანიზაციით მიაღწიოს თითოეული სასწავლო დისციპლინის სწავლების ხარისხის არსებით გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა ცოდნის დონის გადაჭრით ამაღლებას;

ბ) გააძლიეროს ყოველდღიური დახმარება და კონტროლი მასწავლებელთა და აღმზრდელთა მუშაობაზე;

გ) სათანადო ყურადღება მიაქციოს კვების პროდუქტებით დროულად მომარაგების საქმეს;

დ) მეტი ყურადღება მიაქციოს სკოლა-ინტერნატში სამედიცინო მომსახურებას. დაწესებულ ვადებში ჩაატაროს აღსაზრდელთა ღრმა სამედიცინო შემოწმება და სხვა.;

ე) პედაგოგიური საბჭოს უახლოეს სხდომაზე განიხილოს აღნიშნული ბრძანება, დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი შემოწმებით გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

ვ) 1973 წლის 30 აპრილამდე განათლების სამინისტროში წარმოადგინოს მოხსენებითი ბარათი ამ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ჩატარებული მუშაობის შესახებ.

2. ჩოხატაურის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. მ. კეკელიძე) მეტი მეთოდური დახმარება გაუწიოს კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატს.

3. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) მიიღოს ზომები კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატის სასწავლო სახელოსნოების საჭირო ინვენტარითა და სამუშაო მასალებით უზრუნველსაყოფად.

4. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ს. უჩანეიშვილი) შეისწავლოს კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატის შენობა-ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობა და დასკვნა საჭირო

ღონისძიების გასატარებლად წარმოადგინოს 1973 წლის 15 აპრილამდე.

5. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 4 იანვრის დადგენილება

საქართველს სსრ განათლების

მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРИКАЗ № 232

ОТ 28 МАРТА 1973 ГОДА ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

Об утверждении отчета по республиканскому бюджету Министерства просвещения Грузинской ССР за 1972 год

Общая сумма расхода по учреждениям республиканского подчинения в 1973 г. составила в части общих мероприятий 10422.0 тыс. руб. при открытых кредитах 10.602.0 и плане 10876.0 т. р., фактический расход за тот же период составил 10564.0 т. руб., а в части централизованных капвложений при плане в 11.191.0 т. р. освоено 10766.0 т. р.

Таким образом, общее неосвоение средств составило 605.0 т. руб., в том числе по капвложениям—510.0 т. руб. и по общим мероприятиям—95.0 т. р., по заработной плате—55.0 т. р., из них 28.0 т. р. по курсовым мероприятиям повышения квалификации; по внешкольной работе—41.0 тыс. руб.; по питанию детей—38.0 т. р.

В части капвложения не было освоено средств 510.0 т. р., в основном в части строительства зданий дошкольных учреждений, где план ввода мощностей определился в 72%.

Среднегодовой контингент по детсадам-яслям недовыполнен на 25 ед., по школам-интернатам—на249 ед.

По отдельным учреждениям наибольшее неосвоение средств имело место в части расходов на приобретение мягкого инвентаря: по Цаленджихской школе-интернату не было освоено 3.6 т. р. и Ахалдабской школе-интернату—2.3 т. р. др.

Наряду с этим по некоторым школам-интернатам допущены были перерасходы по хазяйственным расходам, как по Кохнарской школе-интернату—3.6 т. р., Мюссерской—1.8 т. р., Глданской № 1—1.5, Гордской—1.3 и т. д.

В части же расходов на содержание аппарата управления

по учреждениям республиканского подчинения достигнута экономия в сумме 33.8 т. руб.

Во исполнение согласно, поручения в целях наведения строжайшей дисциплины в деле расходования государственных средств, изжития указанных выше нарушений, выявлению дополнительных финансовых резервов и обеспечения экономного расходования бюджетных средств

ПРИКАЗЫВАЮ:

1. Обязать руководство учреждений:

а) принять решительные меры к недопущению каких-либо бюджетно-финансовых нарушений и в кратчайший срок ликвидировать всю дебиторскую задолженность;

б) обеспечить полное освоение средств и выполнение всех мероприятий, предусмотренных бюджетом.

2. Директорам школ-интернатов:

а) обеспечить набор детей в полном соответствии с утвержденным планом;

б) обеспечить детей нормой питания, согласно утвержденному количеству и ассортименту;

в) принять меры к сохранности жесткого и мягкого инвентаря, не допуская преждевременной его амортизации;

г) ввести строжайшую экономию по расходованию хозяйственных средств.

3. Планово-финансовому Управлению (тов. Квачадзе А.);

а) при ассигновании средств на 2-й квартал текущего года зачесть подведомственным организациям всю сумму дебиторской задолжности и сверхнормативные остатки материалов;

б) выделение суммы по капитальному ремонту зданий по отдельным учреждениям производить лишь после утверждения соответствующей проектно-сметной документации.

Отчет за 1972 год по республиканскому бюджету Министерства просвещения Грузинской ССР утвердить.

Основание: Постановление коллегии Министерства просвещения ГССР от 22 марта 1973 г.

Министр просвещения
Грузинской ССР **Т. Лашкарашвили**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 30 მარტის ბრძანება № 257

გარდაბნის, ბოგდანოვკის, მარნეულის, დმანისის, წალკისა და ბოლნისის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ გარდაბნის, ბოგდანოვკის, მარნეულის, დმანისის, წალკისა და ბოლნისის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს (ამხ. ამხ. ა. ერტელიშვილი, ხ. თუმასიანი, ი. გეიდაროვი, ე. კარსლიევა, ა. მანსუროვი. მ. ბარათაშვილი) საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულების საქმეში გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებანი.

ადგილებზე ზუსტად არ ასრულებენ არსებული ინსტრუქციით „საქართველოს სსრ-ში სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ" გათვალისწინებულ წესებს, რის გამო აღნიშნული რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების I კლასებში არსწორად იგეგმება მოსწავლეთა მიღება; ასე, მაგალითად. 1972—1973 სასწავლო წელს ბოლნისის რაიონის სკოლების I კლასში მიღებულ იქნა 161 მოსწავლით ნაკლები, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ბოგდანოვკის რაიონში 26 მოსწავლით, დმანისის რაიონში 37-ით, წალკის რაიონში 22-ით ნაკლები, ხოლო მარნეულის რაიონის სკოლებში კი I კლასში მიღებულ იქნა 130 ბავშვით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ასევე არ სრულდება ინსტრუქციის მოთხოვნა ადგილობრივი საბჭოების მიერ 20 აგვისტომდე სკოლებისათვის იმ ბავშვთა დამოწმებული სიების წარმოდგენის შესახებ, რომელთაც მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე უსრულდებათ 6 წელი.

ზოგიერთ სასოფლო საბჭოსა და სკოლაში არ აღრიცხავენ ფი-

ზიკური და გონებრივი განვითარების დეფექტების მქონე მოზარდებს, ცალკე საკლასო ჟურნალებში არ შეაქვთ და სწავლებლები ახორციელებენ მათთან, რომელთაც სკოლაში სიარულის საშუალება არა აქვთ, არ აღრიცხავენ სასკოლო ასაკის მოზარდებს, რომლებიც მუშაობენ და არა აქვთ საშუალო განათლება, ან ცხოვრობენ მოცემული სკოლების მიკრორაიონებში, მაგრამ სწავლობენ სხვა სკოლებში.

სერიოზულ ხარვეზებს აქვს ადგილი მოსწავლეთა მოძრაობის ამსახველი შინასასკოლო დოკუმენტაციის წარმოებაში. როგორც წესი, სკოლების დირექტორები ახლად მიღებულ ბავშვთა სიებს აფორმებენ ბრძანებით არა საბჭოებიდან მიღებული ოფიციალური სიების, არამედ სკოლის მიკრორაიონის მოსახლეობაში მასწავლებელთა კარი-კარ ჩამოვლით შედგენილი სიების საფუძველზე, რაც ბევრ უზუსტობასა და გაუგებრობას იწვევს. სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვის ბრძანების, ალფაბეტური წიგნების, საკლასო ჟურნალების, მოსწავლეთა პირადი საქმეების ჩანაწერები არ ემთხვევა ღაბადების მოწმობების მონაცემებს.

დიდია სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა; ასე, მაგალითად, გარდაბნის რაიონის სკოლებიდან 1971—1972 სასწავლო წელს გავიდა 957 მოსწავლე (3,7%), მათ შორის ავადმყოფობით, და სხვა მიზეზით—80 მოსწავლე, ბოგდანოვკის რაიონიდან—251 (2,2%), მათ შორის ავადმყოფობით და სხვა მიზეზით 61, მარნეულის რაიონიდან—741 (2,8%), მათ შორის ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—119, დმანისის რაიონიდან—341 (2,5%), მათ შორის ავადმყოფობით და სხვა მიზეზით 49, ბოლნისის რაიონიდან—258 (1,5%) მათ შორის ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—38, წალკის რაიონიდან—452 (2,9%), მათ შორის ავადმყოფობით და სხვა მიზეზით — 173.

დასახელებული რაიონების განათლების განყოფილებები და სკოლები საჭირო ზომებს არ იღებენ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად: გარდაბნის რაიონის სკოლებში 1965—1966 სასწავლო წელს პირველ კლასში მიღებულ 2537 მოსწავლიდან ამჟამად მე-8 კლასში სწავლას აგრძელებს 2113 (84%) მოსწავლე, მარნეულის რაიონში—2868-დან — 2325 (81%), დმანისის რაიონში — 1471-დან 1186 (80,6%), ბოლნისის რაიონში — 1888-დან, (81,8%). ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა ბოგდანოვკის რაიონში, სადაც 1965—1966 სასწავლო წელს I კლასში მყოფი 1126 მოსწავლიდან ამჟამად მე-8 კლასში აგრძელებს სწავლას 1063 მოსწავლე (94%), წალკის რაიონში — 1672-დან 1457 (87,2%).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბალ დონეზე დგას სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, გასაკუთრებით კი მეორეწლიან და აკადემიურად რჩენილ მოსწავლეთა შორის, რის გამო დიდია მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთა გარკვეული ნაწილი ტოვებს სწავლას. გარდაბნის რაიონის სკოლებში 1971—1972 სასწავლო წლის შედეგად იმავე კლასებში იქნა დატოვებული 1303 მოსწავლე (6,7%), რომელთაგან, 1972 წლის 5 სექტემბერის მდგომარეობით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლა განაგრძო 11 2-მა ე. ი. არ გამოცხადდა 129 მეორეწლიანი მოსწავლე, მარნეულის რაიონში—1193 (4,2%) მეორეწლიანი მოსწავლიდან სწავლას აგრ ელებს—955, ე. ი. 168-ით ნაკლები, დმანისის რაიონში—511 (3,6%) მეორეწლიანიდან—423, ე. ი.88-ით ნაკლები, წალკის რაიონში—628 (4%) მეორეწლიანიდან—553 ე. ი. 75-ით ნაკლები, ბოლნისის რაიონში—428 (2,4%)-დან—392 ე.ი. 36-ით ნაკლები.

უფრო დამაფიქრებელია მიმდინარე სასწავლო წლის I ნახევრის აკადემიური წარმატების შედეგები. დმანისის რაიონის სკოლებში 13192 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 1964 მოსწავლე (15%), უფრო სავალალო მდგომარეობაა ცალკეულ კლასებში, I კლასების 1496 მოსწალვიდან ვერ ასწრებს 123 (8%). მარტო ირგანჩაის საშუალო სკოლაში (დირექტორი ი. მუსაევი) ვერ ასწრებს 22 პირველკლასელი, არახლოს რვაწლიან სკოლაში ვერ ასწრებს 8 პირველკლასელი და ა. შ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მეორეწლიანთა გარკვეული ნაწილი ტოვებს სკოლებს, დიდი ნაწილი კი აკადემიურად ჩამორჩენა; მაგალითად, რაიონის სკოლებში 5 სექტემბერს იერიცხებოდა 423 მეორეწლიანი მოსწავლე, მეორე მეოთხედის შედეგად კი არის 361, მათგან აკადემიურად ჩამორჩება 156 მეორეწლიანი. უფრო მძიმე მდგომარეობაა ცალკეულ სკოლებში. კამარლოს საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. ბაქიროვი) ვერ ასწრებს მეორეწლიანიდან—21, ჯავახის საშუალო სკოლაში (დირექტორი ნ. ღამბაშიძე) 21 მეორეწლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებს 17.

გარდაბნის რაიონში 23191 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 2413, მათ შორის ვერ ასწრებს პირველკლასელი—113, მეორეკლასელი—200, 819 მეორეწლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებს 276, მარტო კესალოს საშუალო სკოლაში (დირექტორი ფ. იგიდოვი) 119 მეორეწლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებს 85. მუღანლოს საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. ჰუსეინოვი) 56-დან—26, ახტაკლას საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. გოზალოვი) 59-დან—18. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ გარდაბნის რაიონში 5 სექტემბრის მდგომარეობით სკოლებში სწავლობდა 1092 მეორეწლიანი მოსწავლე, სას-

წავლო წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით კი, ეს ე. ი. 274 მეორეწლიანი ჩამოსცილდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს.

მარნეულის რაიონის სკოლებში 21760 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 4146 (18,6%), მათ შორის ვერ ასწრებს პირველკლასელი—161, მეორეკლასელი—237, მესამეკლასელი—306. 509 მეორეწლიანიდან ვერ ასწრებს 268. მარტო მარნეულის № I აზერბაიჯანულ საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. კარაევი) 44 მეორეწლიანიდან ვერ ასწრებს 22, მარნეულის № I რუსულ საშუალო სკოლაში (დირექტორი კ. სტობატოვი) 53 მეორეწლიანიდან ვერ ასწრებს 28, მეორე კესალოს საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. ალიევი) 18-დან—12, მარნეულის აზერბაიჯანულ № 2 საშუალო სკოლაში (დირექტორი ხ. რაგიმოვი) ვერ ასწრებს 23-დან—15. ბოლნისის რაიონის სკოლებში ვერ ასწრებს პირველკლასელი—89. მეორეკლასელი—159, მესამეკლასელი—219 და 108 მეორეწლიანი მოსწავლე, ფახრალოს საშუალო სკოლაში (დირექტორი ი. ხალილოვი) 49 მეორეწლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებს—20.

ბოგდანოვკის რაიონის სკოლებში 10811 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 1626, მათ შორის სათხის საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. სანოსიანი) 716 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 98. ეშტიის საშუალო სკოლებში (დირექტორი კ. ბარიკიანი)—556-დან—121, ორაჯალარის საშუალო სკოლაში (დირექტორი ს. პუთულიანი)—394-დან—73. განათლების განყოფილების გამგე ამხ. ხ. თუმასიანი ნაცვლად იმისა, რომ გაერკვეს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალ დონეზე დაყენების ნამდვილ მიზეზებში და მიიღოს ზომები მათ სალიკვიდაციოდ, იმიზეზებს მატერიალურ ბაზას, რითაც არსებითად ურიგდება ამ სერიოზულ ნაკლოვანებებს და დამშვიდების ატმოსფეროს ქმნის სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებსა და სკოლის ხელმძღვანელებში.

მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობა და მეორეწლიანობა არის განთესვის ძირითადი მიზეზი. მარნეულის რაიონის სკოლებში გასულ 1971-72 სასწავლო წელს, მუშაობა დაიწყო და სწავლას არ აგრძელებს 107 სასკოლო ასაკის ბავშვი, მათ შორის კიზილაჯილოს საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. გოჯაევი)—11, ყაჩაგანის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. ალახვერდიევი)—6.

გარდაბნის, ბოგდანოვკის, მარნეულის, დმანისის, წალკისა და ბოლნისის რაიონების სკოლებში არსებული ეს და სხვა ნაკლოვანებები გამოწვეულია დასახელებული რაიონების სახალხო განათლების განყოფილებების არადამაკმაყოფილებელი მუშაობით.

საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გარდაბნის, ბოგდანოვკის, მარნეულის, დმანისის, წალკისა და ბოლნისის რაიონების სახალხო განათლების გაყოფილებებმა (ამხ. ამხ. ა. ერტელიშვილმა, ხ. თუმასიანმა, ი. გეიდაროვმა, ა. მანსუროვმა, ვ. კარსლიევამ, ზ. ბარათაშვილმა):

ა) უზრუნველყონ სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა არსებული ინსტრუქციის „საქართველოს სსრ-ში სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ“ ზუსტი დაცვით;

ბ) მოაწესრიგონ სკოლებში მოსწავლეთა აღრიცხვასა და მოძრაობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (მოსწავლეთა პირველადი სიები, ბრძანებათა წიგნები, ალფაბეტური წიგნები, საკლასო ჟურნალები, მოსწავლეთა პირადი საქმეები) წარმოება;

გ) დაავალონ სასკოლო ინსპექტორებს, სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლისას შეამოწმონ ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის მდგომარეობა და სასკოლო დოკუმენტაციის წარმოება; მოსთხოვონ სკოლის ხელმძღვანელებს, რომ სკოლაში იქონიონ საყოველთაო სწავლებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1972 წლის 23 მარტის №15 წერილითა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 12 მაისის № 305 ბრძანებით—სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ;

დ) საკითხი სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა პირველადი აღრიცხვის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ საჭიროებისას განსახილველად შეიტანონ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებში;

ე) სასწავლო წლის დასაწყისშივე უკლებლივ ჩააბან სწავლებაში ყველა ბავშვი და მოზარდი, რომელთაც რვაწლიანი ან საშუალო განათლება არა აქვთ. ამ საქმეში პირადი პასუხისმგებლობა დააკისრონ სკოლების დირექტორებს, რომლებმაც ადგილობრივ საბჭოებთან ერთად უნდა ჩაატარონ სასკოლო ასაკის იმ ბავშვთა და მოზარდთა ზუსტი აღრიცხვა, რომლებსაც არა აქვთ საშუალო განათლება და ცხოვრობენ სკოლის მიკრორაიონში, ამასთან, უზრუნველყონ მა-

თი ჩაბმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ტექნიკუმებისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებში.

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლებში იმ ბავშვების აღრიცხვასა და მოწყობას, რომლებიც ადგილობრივ საკომლო სიებში, თუ საბინაო დავთრებში არ ირიცხებოდნენ, მაგრამ ფაქტიურად ცხოვრობენ ამა თუ იმ სოფელში, ამასთან, დააზუსტონ იმ მოზარდთა სიები, რომლებიც ირიცხებიან საკომლო წიგნებსა და დავთრებში, მაგრამ სინამდვილეში არ ცხოვრობენ რაიონის ტერიტორიაზე და მიიღონ ზომები მათ სტატისტიკურ ანგარიშებში არშეტანისათვის;

ზ) ცალკე შეადგინონ სხვადასხვა ფიზიკური დეფექტის მქონე ბავშვთა და მოზარდთა სიები და უზრუნველყონ მათი ჩაბმა სპეციალურ სკოლებში, ხოლო იმათ, ვისაც სკოლაში სიარულის ფიზიკური შესაძლებლობა არა აქვთ, ბინაზე მიამაგრონ მასწავლებლები კანონით დადგენილი წესების დაცვით, ასეთი ბავშვების გვარები შეიტანონ ცალკე საკლასო ჟურნალებში;

თ) დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი იმ მიზნით, რათა საბოლოოდ დაძლიონ ის ნაკლოვანებანი, რომლებიც სკოლებს გააჩნიათ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, განსაკუთრებით გააუმჯობესონ აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობა.

2. სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობასა და საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარების საქმეში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის გარდაბნის რაიონის ქესალოს საშუალო სკოლის დირექტორს ფ. იგიდოვს, მარნეულის რაიონის რუსული საშუალო სკოლის დირექტორს ვ. სტომატოვს გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

3. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის დმანისის რაიონის ჯავახის საშუალო სკოლის დირექტორს ნ. ღამბაშიძეს, ბაიაზკლინის 8-წლიანი სკოლის დირექტორს გ. სულეიმანოვს, გარდაბნის რაიონის მუღანლოს საშუალო სკოლის დირექტორს ი. მუსაევს, მარნეულის № 1 აზერბაიჯანული სკოლის დირექტორს მ. კარაევს გამოეცხადოთ საყვედური.

4. მარნეულისა და დმანისის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. ი. გეიდაროვმა და ა. მანსუროვმა) სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობასა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში დაშვებული სერიოზუ-

ლი ნაკლოვანებებისათვის კიზილაჯილოს საშუალო სკოლის დირექტორს ა. გოჯაევს, ყაჩაგანის საშუალო სკოლის დირექტორს ა. ალახვერდიევს, მეორე კესალოს საშუალო სკოლის დირექტორს ვ. ალიევს, გამარლოს საშუალო სკოლის დირექტორს ა. ბაქიროვს დაადონ მკაცრი სასჯელი და შედეგი აცნობონ განათლების სამინისტროს.

5. საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულების საქმეში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები; ა. ერტელიშვილი, ხ. თუმასიანი, ი. გეიდაროვი, ა. მანსუროვი, ე. კარსლიევი და ზ. ბარათაშვილი მკაცრად იქნან გაფრთხილებულნი.

6. სკოლების სამმართველომ (რ. კანდელაკმა):

ა) მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე;

ბ) უახლოეს მომავალში შეისწავლოს თეთრი წყაროს რაიონის სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობა და შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 6 აპრილის ბრძანება № 249

სახალხო განათლების დარგში სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის რესპუბლიკური კომისიის შექმნის შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის რესპუბლიკური კომისია თ. ლაშქარაშვილის (კომისიის თავჯდომარე), მ. ქოჩაკიძის (თავმჯდომარის მოადგილე), გ. შენგელიას (პასუხისმგებელი მდივანი), ა. კვაჭაძის, რ. კახდელაკის, ვ. ჩინჩალაძის, თ. ნიკოლაიშვილის, ს. არველაძის, ი. კვაჭაძის, გ. აბდუშელიშვილის, გ. საყვარელიძის, თ. ზახაშვილის, ნ. შველიძის შემადგენლობით.

ა) მიმდინარე წლის 15 აპრილამდე შეიმუშაოს და კოლეგიის სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოადგინოს სოციალისტური შეჯიბრების 1973 წლის სამუშაო გეგმა;

ბ) მუშაობაში მტკიცედ იხელმძღვანელოს რესპუბლიკური და ადგილობრივი კომისიების დებულებით, ყოველი კვარტალის დასაწყისში, 5 რიცხვამდე წარუდგინოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს ინფორმაცია სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

3. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე) სისტემატურად გააშუქოს სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა და შედეგები.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 5 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 9 აპრილის ბრძანება № 250

სამუშაოდან მშრომელთა დათხოვნის დროს შრომითი კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შესახებ

განხილულ იქნა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ იცავენ რესპუბლიკაში შრომის კანონმდებლობას მშრომელთა სამუშაოდან დათხოვნის დროს.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამ მიმართულებით რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს, ამასთან, ჯერ კიდევ ცუდად არის მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნის დროს სოციალისტური კანონიერების დაცვის საქმე. ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც სამინისტროებსა და უწყებებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში სამუშაოდან მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნის საკითხს არ უთანხმებენ ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციებს, ხშირად არ ითვალისწინებენ დანაშაულის ზომას, დამრღვევის პიროვნებს, მის საზოგადოებრივ და საწარმოო დახასიათებას.

სხვა სამინისტროებთან ერთად დადგენილებაში აღნიშნულია განათლების სამინისტროც, რომლის სისტემაში ხშირია მსგავსი დარღვევები.

სამინისტროში არსებული მასალებით ირკვევა, რომ ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილების მიერ ამავე რაიონის ქვემო ფოცხოს საშუალო სკოლის მასწავლებელი ა. ლ. ნაჭყებია, მოსწავლისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებისათვის, სათანადო წესის დაცვით, 1972 წლის 21 იანვრიდან დათხოვნილ იქნა სამუშაოდან, როგორც შეუფერებელი.

ცხაკაიას რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა რა ა. ნაჭყებიას სარჩივარი, მხედველობაში მიიღო მისი ხანგრძლივი მუშაობა და აღადგინა იგი სამუშაოზე. რაიონის განათლების განყოფილებამ

კი კასაციის წესით არ გაასაჩივრა რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება.

ხულოს რაიონის წაბლანის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ბ. დ. ბახია თავისი არაწესიერი მოქმედებით იმსახურებდა სამუშაოდან დათხოვნას, რაიონის განათლების განყოფილებამ კი გადაიყვანა სხვა სკოლაში, სადაც იგი არ გამოცხადდა და მოითხოვა დაებრუნებინათ წაბლანის რვაწლიან სკოლაში. ბ. ბახიამ საჩივრით მიმართა ხულოს რაიონის სახალხო სასამართლოს, რომელმაც გასული წლის 27 ოქტომბერს აღადგინა სამუშაოზე და ორი თვის განაცდუცდურის ანაზღაურება 276 მან.66 კაპ. რაოდენობით დააკისრა განათლების განყოფილების გამგეს. აჭარის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ ხულოს რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. ბ. ბახია გასული წლის 12 ნოემბერს გამოცხადდა წაბლანის რვაწლიან სკოლაში, მაგრამ პედაგოგიური კოლექტივის კატეგორიული პროტესტის შედეგად განათლების განყოფილებამ ბახიას განცხადების საფუძველზე გადაიყვანა იგი აგარის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად.

აღსანიშნავია, რომ განათლების განყოფილებამ, სათანადო წესის დაცვით, თავიდანვე არ დაითხოვა ბ. ბახია სამუშაოდან შეუფერებელი მოქმედების გამო.

ქედის ბაგა-ბაღის ყოფილმა გამგემ გ. ბარამიძემ, ადგილობრივ პროფესიული ორგანიზაციასთან შეთანხმების გარეშე, სამუშაოდან გაათავისუფლა მზარეული ნ. დიასამიძე, რომელიც აღდგენილ იქნა სამუშაოზე სახალხო სასამართლოს მიერ.

გაგრის რაიონის ბზიბის № 3 რვაწლიანი სკოლის დამლაგებელი გ. მუსელიმიანი, რომელიც იმავე დროს ითვლებოდა კოლმეურნეობის წევრად, იმის გამო, რომ მან კოლმეურნეობაში შეწყვიტა შრომითი საქმიანობა, კოლმეურნეობის გამგეობამ დააყენა საკითხი სკოლის ადმინისტრაციის წინაშე დამლაგებლის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ. სკოლის ყოფილმა დირექტორმა მ. ვარვაშტიანმა 1971 წ. 10 ივლისს, პროფკავშირის ადგილკომთან შეთანხმების გარეშე, კოლმეურნეობის გამგეობის წერილის საფუძველზე მუსელიმიანი გაათავისუფლა სამუშაოდან, ხოლო გაგრის რაიონის სახალხო სასამართლომ 1971 წლის 17 ოქტომბერს მუსელიმიანი აღადგინა სამუშაოზე, როგორც არასწორად გათავისუფლებული. ასევე, სახალხო სასამართლომ სამუშაოზე აღადგინა თბილისის 140-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ჯ. ჯიქია, რომლის განთავისუფლება პროფკავშირის ადგილკომთან არ იყო შეთანხმებული და თბილისის 1-ლი გახანგრძლივებული დღის სკოლის მასწავლებელი ნ. ჟარ-

კოვა, რომლის სამუშაოდან დათხოვნა სათანადოდ არ იყო დასაბუთებული.

ანალოგიურ დარღვევებს აქვს ადგილი რესპუბლიკის რიგ სხვა რაიონებსა და ქალაქებში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

მიიღონ ზომები და დააწესონ სათანადო კონტროლი, რომ თანამშრომელთა სამუშაოდან დათხოვნის დროს ზუსტად იქნეს დაცული შრომითი კანონმდებლობით დადგენილი წესები; შეუფერებელი მოტივით მუშაკის განთავისუფლების საკითხი აუცილებლად წინასწარ იქნეს შეთანხმებული პროფკავშირულ ორგანიზაციასთან; მკაცრად დასაჯონ ის პირნი, რომლებიც არ იცავენ შრომით კანონმდებლობას.

იმ შემთხვევაში, როდესაც სათანადო წესის დაცვით, სამუშაოსათვის შეუფერებლობის მოტივით განთავისუფლებული მუშაკი საკმაო საფუძვლების გარეშე აღდგენილ იქნება სახალხო სასამართლოს მიერ, გადაწყვეტილება კასაციის წესით გაასაჩივროს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციაში.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (თ.ზახაშვილი) სახალხო განათლების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე ჯეროვანი ადგილი დაუთმოს შრომის კანონმდებლობის საკითხების შესწავლას.

3. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ნ. შველიძე) პერიოდულად გააშუქოს შრომის კანონმდებლობის საკითხები.

4.მიღებულ იქნეს ცნობად, რომ გაგრის რაიონის ბზიბის №3 რვაწლიანი სკოლის დირექტორი მ. ვ. ვარვაშტიანი განთავისუფლებულია სამუშაოდან სუსტი მუშაობის გამო.

5.საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ი.კვაჭაძე) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 5 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ.ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 11 აპრილის ბრძანება № 260—5

სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში სახანძრო უშიშროების განსამტკიცებლად ჩატარებული მუშაობის თაობაზე წალენჯიხისა და წალკის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებისა და ვანის რაიონის სასკოლო ინსპექტორის ანგარიშის შესახებ.

მოვისმინე რა წალენჯიხისა და წალკის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების ვ. ბელქანიას, ე. კარსლიევასა და ვანის რაიონის სასკოლო ინსპექტორის გ. კანკაძის ანგარიში სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში სახანძრო უშიშროების განსამტკიცებლად ჩატარებული მუშაობის შესახებ,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წალენჯიხისა და წალკის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების ვ. ბელქანიას და ე. კარსლიევას და ვანის რაიონის სასკოლო ინსპექტორის გ. კანკაძის ანგარიშები ზემოაღნიშნული საკითხის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად (ანგარიშები თან ერთვის ბრძანებას).

2. დაევალოს ვანის, წალენჯიხისა და წალკის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) ადგილობრივი სახანძრო ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად, 1973 წლის გათბობის სეზონის დამთავრებამდე, კიდევ ერთხელ შეამოწმონ სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო დაწესებულებებში ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა და მიიღონ გადამჭრელი ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) სახალხო განათლების დაწესებულებათა ინსპექტირების გეგმებში რეგულარულად შეიტანონ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა შესრულების შემოწმების საკითხი. შემოწმების შედეგად გამოვლინებულ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დასახონ კონკრეტული ღონისძიებები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) აამაღლონ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელების საქმეში. მკაცრი კონტროლი დააწესონ ამ საკითხზე სადირექტივო ორგანოების მოთხოვნილებათა შესრულებისადმი;

დ) ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებთან ერთად შეამოწმონ ყველა სკოლისა და საბავშვო დაწესებულების ზამთრისათვის მზადყოფნის მდგომარეობა, შემოწმების შედეგები განსახილველად შეიტანონ რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომებზე;

ე) ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების თანდათანობით ცენტრალურ გათბობაზე გადასაყვანად, ამ საქმეში მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წლის 14 თებერვლის № 104 ბრძანებით;

ვ) მოკლე დროში უზრუნველყონ სახალხო განათლების ობიექტები ხანძარსაწინააღმდეგო ხელსაწყო-იარაღებით, სათანადო ტევადობის წყლის აუზებით და ტელეფონებით, აკრძალონ ღამის დარაჯის მორიგეობის დროს სკოლის შენობაში ცეცხლის დანთება.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ვანის რაიონის ინაშაურის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ფ. გენელიძე სახანძრო უსაფრთხოების წესების შეუსრულებლობის გამო, რამაც განაპირობა სკოლაში ხანძრის წარმოშობა, განთავისუფლებულია სამუშაოდან.

4. ეს ბრძანება განსახილველად და სათანადო ზომების გასატარებლად დაეგზავნოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ განათლების განყოფილებებს.

5. მეორე განყოფილებამ (ო. მჭედლიძე) მეტი ყურადღება მიაქციოს რესპუბლიკაში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა შესრულების საქმეს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 5 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 11 აპრილის ბრძანება № 252

თეთრიწყაროს რაიონში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ

ავღნიშნავ, რომ თეთრიწყაროს რაიონის საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების საქმეში აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი.

ირღვევა ინსტრუქციით („საქართველოს სსრ-ში სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ") გათვალისწინებული წესები, რის გამო არასწორად იგეგმება აღნიშნული რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების I კლასებში მისაღები კონტინგენტი: ასე მაგალითად, 1972—1973 სასწავლო წლის I კლასში მიღებულ იქნა 31 ბავშვით ნაკლები, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ასევე არ სრულდება ინსტრუქციის მოთხოვნა ადგილობრივი საბჭოების მიერ 20 აგვისტომდე სკოლებისათვის იმ ბავშვთა დამოწმებული სიების წარმოდგენის შესახებ, რომელთაც მიმდინარე წლის I-ლ ოქტომბრამდე უსრულდებათ 6 წელი.

ცალკე საკლასო ჟურნალებში არ შეაქვთ და ინდივიდუალურ სწავლებას არ ახორციელებენ იმ მოსწავლეებთან, რომელთაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სკოლაში სიარულის საშუალება არა აქვთ; არ აღრიცხავენ სასკოლო ასაკის მოზარდებს, რომლებიც მუშაობენ და არ აქვთ საშუალო განათლება, ან ცხოვრობენ მოცემული სკოლის მიკრორაიონში, მაგრამ სწავლობენ სხვა სკოლებში.

სერიოზულ ხარვეზებს აქვს ადგილი მოსწავლეთა მოძრაობის ამსახველი შინასასკოლო დოკუმენტაციის წარმოებაში: სკოლებში არ აქვთ მოსწავლეთა ალფაბეტური წიგნები. როგორც წესი, სკოლების დირექტორები ახლად მიღებულ ბავშვებს აფორმებენ ბრძანებით არა საბჭოებიდან მიღებული ოფიციალური სიების, არამედ

სკოლის მიკრორაიონის მოსახლეობაში მასწავლებელთა კარდაკარ შემოვლით შედგენილი სიების საფუძველზე, რაც ბევრ გაუგებრობას იწვევს. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის ბრძანების, საკლასო ჟურნალების, მოსწავლეთა პირადი საქმეების ჩანაწერები არ ემთხვევა დაბადების მოწმობების მონაცემებს.

სკოლების დირექტორები უპასუხისმგებლობას იჩენენ სტატისტიკური ანგარიშების შედგენის საქმეში; მაგალითად, მანგლისის ქართული საშუალო სკოლის დირექტორს მ. სულაბერიძეს 1971 — 1972 სასწავლო წელს გასულ მოსწავლეთა რაოდენობა ნაჩვენები აქვს 48, მაშინ, როდესაც ცალკეული მიზეზებით გასულ მოსწავლეთა რაოდენობათა ჯამი ამავე ფომის მიხედვით გვაძლევს 63-ს.

დიდია სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა: მარტო 1971 — 1972 სასწავლო წელს გავიდა 334 მოსწავლე (მათ შორის ავადმყოფობით და სხვა მიზეზებით 105), ე. ი. მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 3,9%.

განსაკუთრებით დაბალ დონეზე დგას სკოლებში სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობა მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა შორის, რის გამო მეორეწლიანთა დიდი რაოდენობა ტოვებს სკოლას. 1971 — 1972 სასწავლო წლის ბოლოს იმავე კლასში დარჩენილი 420 (4,8%) მოსწავლიდან 1972 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლა განაგრძო 365-მა, ე. ი. არ გამოცხადდა 55 მეორეწლიანი მოსწავლე.

კიდევ უფრო დამაფიქრებელია მიმდინარე სასწავლო წლის 1-ლი ნახევრის აკადემიური წარმატების შედეგები. რაიონის სკოლებში 307 მეორეწლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებს 99, მარტო წინწყაროს საშუალო სკოლაში 57 მეორეწლიანიდან ვერ ასწრებს 37 სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ 1971 წლის 5 სექტემბერიდან დღემდე სწავლას ჩამოშორდა ამ სკოლის (დირექტორი გ. საკალიძე) I — VIII კლასების 16 მოსწავლე, რომელთა დიდი უმრავლესობა მეორეწლიანი იყო. ამავე პერიოდისათვის სამშვილდეს საშუალო (დირექტორი ა. ოგანესიანი) სკოლას ჩამოცილდა 10 მოსწავლე, მათ შორის I — VII კლასებიდან — 3 მოსწავლე და ა. შ. სულ 57 მოსწავლე.

თეთრიწყაროს რაიონის სკოლებში არსებული ზემოხსენებული და მსგავსი ნაკლოვანებები გამოწვეულია იმითაც, რომ სახალხო განათლების განყოფილება საჭირო ხელმძღვანელობას და კონტროლს ვერ ახორციელებს სკოლების სასწავლო - აღმზრდელობით მუშაობაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თეთრი წყაროს რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (გამგე ა. ბექაური):

ა) სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვისას მტკიცედ იხელმძღვანელოს სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ არსებული ინსტრუქციით;

ბ) მტკიცე კონტროლი განახორციელოს სტატისტიკური ფორმების შევსებაზე, აღკვეცოს ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი დღემდე გამეფებული უპასუხისმგებლო დამოკიდებულება;

ბ) მოაწესრიგოს სკოლებში მოსწავლეთა აღრიცხვისა და მოძრაობასთან დავავშირებული დოკუმენტაციის (მოსწავლეთა პირველადი სიები, ბრძანებათა წიგნები, ალფაბეტური წიგნები, საკლასო ჟურნალები, მოსწავლეთა პირადი საქმეები) წარმოება;

დ) სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლისას საფუძვლიანად შეამოწმოს ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის მდგომარეობა და სასკოლო დოკუმენტაციის წარმოება; მოსთხოვოს სკოლის ხელმძღვანელებს, რომ სკოლაში იქონიონ საყოველთაო სწავლებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1972 წლის 23 მარტის №15 — 8 წერილითა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 12 მაისის № 305 ბრძანებით სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ;

ე) სასწავლო წლის დასაწყისშივე უკლებლივ ჩააბას სწავლებაში ყველა ბავშვი, და მოზარდი, რომელთაც რვაწლიანი ან საშუალო განათლება არა აქვთ. ამ საქმეში პირადი პასუხისმგებლობა დააკისრონ სკოლების დირექტორებს, რომლებმაც ადგილობრივ საბჭოებთან ერთად უნდა ჩაატარონ სასკოლო ასაკის იმ ბავშვთა და მოზარდთა ზუსტი აღრიცხვა, რომელთაც არა აქვთ საშუალო განათლება, ცხოვრობენ სკოლის მიკრორაიონში და უზრუნველყონ მათი ჩაბმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ტექნიკუმებისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებში

ვ) დასახოს და განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი იმ მიზნით, რათა საბოლოოდ დაძლიოს ის ნაკლოვანებანი, რომლებიც სკოლებს აქვთ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, განსაკუთრებით გააუმჯობესოს აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობა.

2. სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობასა და საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარების

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის თეთრი წყაროს რაიონის წინწყაროს საშუალო სკოლის დირექტორს მ. საკვალიძეს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური და გაფრთხილებულ იქნეს, რომ, თუ შემდგომში ზემოხსენებულ ხარვეზებს არ გამოასწორებს, განთავისუფლებულ იქნება დაკისრებული თანამდებობიდან.

3) სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობასა და საყოველთაო-სავალდებულო 8-წლიანი სწავლების კანონის განხორციელებაზე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის სამშვილდის საშუალო სკოლის დირექტორს ა. ოგანესიანს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

4. სტატისტიკური ანგარიშების დაუდევრად წარმოდგენისათვის მანგლისის ქართული საშუალო სკოლის დირექტორს მ. სულაბერიძეს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

5. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობასა და საყოველთაო-სავალდებულო 8-წლიანი სწავლების კანონის გატარების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის თეთრი წყაროს სახალხო განათლების განყოფილების გამგეს დ. ბექაურს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 5 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ 11 აპრილის ბრძანება №253

ქ.ქ. თბილისის, გორისა და გურჯაანის რაიონის სკოლების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის შემოწმების შედეგების შესახებ

უკანასკნელ ხანებში ერთგვარად გაუმჯობესდა რესპუბლიკის სკოლებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა და სასკოლო ბუფეტების მუშაობა. სკოლების დიდ ნაწილში ბუფეტებისა და სასადილოებისათვის გამოყოფილია სათანადო სათავსოები. სისტემატურად მარაგდება სკოლები სასკოლო კვების ასორტიმენტით, ბუფეტები შეივსო საჭირო ინვენტარითა და დანადგარებით. მაგრამ ქ.ქ. თბილისის, გორისა და გურჯანის რაიონის მთელ რიგ შემოწმებულ სკოლებში სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვისა და მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის საქმეში ჯერ კიდევ აქვს ადგილი სერიოზულ ნაკლოვანობებს. ზოგიერთ სკოლაში არადამაკმაყოფილებლად სრულდება აღნიშნულ საკითხზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 8 დეკემბრის ბრძანება—„რესპუბლიკის სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის მდგომარეობისა და კვების ორგანიზაციის შემოწმების თაობაზე საქ. სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის 1972 წლის 27 ოქტომბრის დადგენილების შესრულების შესახებ.

შემოწმებული რაიონების მრავალ სკოლაში არ იცავენ მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად მერხების განლაგების ჰიგიენურ მოთხოვნებს (მერხები არ არის მარკირებული). ხშირად ერთი და იგივე მერხს უსხედან სხვადასხვა ცვლის მეორე-მესამე და მეცხრე-მეათე კლასების მოსწავლეები.

დაცული არ არის გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა და ინტერვალი ცვლებს შორის. ხშირად შესვენებები გაკვეთილებს შორის არ აღემატება 5—10 წუთს, ხოლო ინტერვალი ცვლებს შორის 10—15 წუთს. ამის შედეგად არასაკმაოდ ნიავდება

საკლასო ოთახები და კაბინეტები, ცუდად სუფთავდება სასკოლო შენობა (თბილისის 23-ე, 47-ე, 112-ე, 138-ე, 141-ე, სკოლები). გადაუდებელი რემონტი ესაჭიროება თბილისის 25-ე, 62-ე, 75-ე, 78-ე, 150-ე სკოლებს. განათების ჰიგიენური ნორმები არ არის დაცული თბილისის 1-ლ, 30-ე და სხვა სკოლებში. კლასები განლაგებულია ვიწრო და ბნელ ოთახებში, არ არის დაცული ინტერვალი დაფასა და მერხების პირველ რიგებს შორის (თბილისის 30-ე, 112-ე და სკოლებში.). თბილისის 25-ე, 37-ე, 112-ე და ქალაქ გორის სასკოლო სახელოსნოებში მოსწავლეები ხშირად სპეცტანსაცმლის გარეშე (წინსაფარი, ხალათი და სხვა) მუშაობენ.

თითქმის არც ერთ ახალ ტიპიურ სასკოლო შენობაში არ არის სარკმელები, ხოლო მრავალ მათგანს სავენტილაციო მოწყობილობაც კი არ აქვს. მთელი რიგი სკოლების დირექტორებს მათი მოწყობაც არ დაუწყიათ.

ყველგან არ არის დაცული სასკოლო შენობის სველი დასუფთავების ჰიგიენური წესები, ცუდად ირეცხება იატაკი და კარ-ფანჯრები, მტვრიანი და ჭუჭყიანია საკლასო ოთახები გორის მე-2 მე-3, მე-8, მე-10, თბილისის 25-ე, 138-ე, 142-ე. და სხვა სკოლებში. შემოწმების მომენტში ანტისანიტარულ მდგომარეობაში იყო ტუალეტის ოთახები, ისინი არ იყო უზრუნველყოფილი სადეზინფექციო საშუალებებით. პირსაბანით, არ ჰქონდათ საპონი და პირსახოცი თბილისის 23-ე, 25-ე, 61-ე, 63-ე, 67-ე, 70-ე, 71-ე, 73-ე და სხვა სკოლებში. ასევე გორის 1-ლ, მე-2, მე-3, მე-8 და მე-10 სკოლებში. თბილისის 37-ე, 67-ე, 74-ე, 75-ე, 112-ე, 151-ე და სხვა სკოლებში ქიმიის კაბინეტებში არ არის დადგმული ამწოვი კარადები.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები შეინიშნება სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობაში.

ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ყველა სკოლასთან ბუფეტებისა და სასადილოებისათვის საჭირო სათავსოს გამოყოფა. ნელი ტემპით მიმდინარეობს დასაჯდომი ადგილების რაოდენობის ზრდა თბილისის 39-ე, 42-ე, 45-ე, 113-ე და სხვა სკოლებში. გურჯაანის რაიონის ახაშენისა და შაშიანის სკოლების ბუფეტებში არცერთი დასაჯდომი ადგილი არ არის და მოსწავლეები დერეფნებში საუზმობენ. კარდანახის საშუალო სკოლას, სადაც 1009 მოსწავლეა, ბუფეტი საერთოდ არ გაჩნია.

ხშირია შემთხვევა, როცა ბუფეტი და სასადილო არ არის აღჭურვილი სამაცივრო დანადგარებით, დგამ-ავეჯით და უზრუნველყოფილი საჭირო ჭურჭლით. მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილები-

სა, სკოლების ხელმძღვანელებმა ვერ უზრუნველყვეს ბუფეტი და სასადილოები გამდინარე ცხელი წყლით; ასე მაგალითად, მაგალითად, რა არ მუშაობს თბილისის მე-7, 21-ე, 47-ე, გორის 1-ლ, მე-3, მე-8, მე-9, გურჯაანის რაიონის ახაშენისა და შაშიანის საშუალო სკოლების ბუფეტებში.

თბილისის 21-ე, 42-ე, 67-ე 71-ე, 75-ე, გორის მე-3, მე-9 და ახაშენის საშუალო სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცევა ბუფეტებში სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების დაცვას. დროულად და ხარისხიანად არ ირეცხება ჭურჭელი, იატაკი და მაგიდები მოფენილია საჭმლის ნარჩენებით. გურჯაანის რაიონის ახაშენის საშუალო სკოლის მებუფეტეს ნ. ბეგაშვილს მაცივარი სახლში აქვს წაღებული და პროდუქტებს მუყაოს ყუთში ინახავს, რის გამოც ბუფეტში თაგვებია მომრავლებული და სრული ანტისანიტარიაა გამეფებული.

თბილისის 1-ლ, მე-3, მე-4, მე-11, მე-17, 21-ე, 39-ე, 45-ე, 27-ე, 54-ე, 75-ე, 88-ე, 113-ე საშუალო სკოლებში პროდუქტი სისტემატურად დაგვიანებით, 11-12 საათისათვის შემოაქვთ. ნაკლები ყურადღება ექცევა სკოლების სასკოლო ასორტიმენტით მომარაგების საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ ადგილები არაერთგზის გააფრთხილა ვაჭრობის სამინისტრომ, სკოლებში ჯერ კიდევ იგზავნება მაღალფასიანი პროდუქტები; ასე მაგალითად, თბილისის 1-ლ საუალო სკოლაში 23 იანვარს შემოტანილ იქნა ორცხობილა ერთი — 1 მანეთი და 96 კაპ. და მეორე—2 მანეთი და 20 კაპიკის ღირებულებით. 54-ე საშუალო სკოლის ბუფეტში კი 13 კაპიკიანი, 22 კაპიკიანი და 36 კაპიკიანი პროდუქტებია. ქ. გორის სასკოლო ბუფეტებში იყიდება სხვადასხვაფასიანი ხაჭაპური — 15 კაპიკიანი, 18 კაპიკიანი და 24 კაპიკიანი. ქალაქის 1-ლი საშუალო სკოლის ბუფეტში აღმოჩნდა ოქტომბრის თვეში მიღებული 1971 წლის 2 იანვარს დამზადებული 61 კაპიკიანი 18 ცალი, 68 კაპიკიანი 17 ცალი და 45 კაპიკიანი 20 ცალი შოკოლადის ფილა. ახაშენის საშუალო სკოლაში ღებულობენ რძეს, მაგრამ იგი მხოლოდ მასწავლებლებზე იყიდება.

რაიონის სკოლების უმრავლესობა მხოლოდ ფუნთუშით, ნამცხვრებით, კონფეტითა და ლიმონათით მარაგდება.

ზოგიერთ სკოლაში არაკეთილსინდისიერად მუშაობენ მებუფეტეები. ადგილი აქვს ფასების დამახინჯებისა და პროდუქტების მითვისებას; მაგალითად, თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის მებუფეტემ თ. ომედაშვილმა 1973 წლის 23 იანვარს 150 ცალი კატლეტი უკარაქოდ შეწვა და კარაქი მიითვისა. ანალოგიურ მოქმედებას ჰქო-

ნდა ადგილი თბილისის 42-ე სკოლაში (მებუფეტე ნ. გრინევიჩი). ფასების დამახინჯებას ადგილი ჰქონდა გორის მე-2 (მებუფეტე ე.ძამუკაშვილი), მე-8 (მებუფეტე თ. რაზმიაშვილი) და მე-9 (მებუფეტე მ. უთნელიშვილი) საშუალო სკოლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მე-7, მე-11 39-ე, 45-ე, 54-ე, 67-ე, 71-ე, 104-ე, 115-ე, 133-ე, 150-ე, გორის მე-3, მე-13 და როგ სხვა სკოლებში არაორგანიზებულად წარმოებს გახანგრძლივებული დღის ჯგუფის მოსწავლეთა კვება.

ბევრგან მოსწავლეები უზრუნველყოფილი არ არიან ცხელი კერძებით, სკოლის დირექცია და მშობლები საყვედურს გამოთქვამენ კვების კომბინატის მიერ დამზადებული სადილების დაბალი ხარისხის გამო (თბილისის მე-7, 47-ე, 54-ე, 115-ე, 133-ე და სხვა სკოლები).

გახანგრძლივებული დღის ჯგუფის მოსწავლეებზე სადილების გაცემა ბევრგან ტალონებით არ ხდება, მოსწავლეები ნებისმიერი ფასიანი საუზმითა და სადილით იკვებებიან.

თბილისის 1-ლ, მე-6, მე-7, მე-11, 21-ე 31-ე, 32-ე ,მე-17, 39-ე, 45-ე, 47-ე, 54-ე, 62-ე, 84-ე, 124-ე, 113-ე, 126-ე, 115-ე და 150-ე, გორის მე-3, მე-8, და მე-9 სკოლებში მოუწესრიგებელია მოსწავლეტალონებით ვაჭრობა და დაწყებითი კლასის მოსწავლეთა ორგანიზებული კვება საკლასო ოთახებში.

არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა და მშობელთა მორიგეობა თბილისის 1-ლ, 39-ე, 45-ე, 67-ე, 54-ე, 75-ე, 92-ე, 126-ე, გორის მე-3, მე-9, ახაშენის და სხვა სკოლებში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ.ქ. თბილისის, **გორისა და გურჯაანის** რაიონის განათლების განყოფილებებმა (თ. ეგაძე, ვ. ზექალაშვილი, მ. თოდაშვილი):

ა) ა/წლის აპრილ-მაისში შეამოწმონ სასკოლო შენობათა სანიტარულ-ჰიგიენური და მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის მდგომარეობა, შედეგები განიხილონ სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და საჭიროების შემთხვევაში გაატარონ სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებანი;

ბ) განათლების საბჭოს სხდომებზე, საკითხის წინასწარ შემოწმების შემდეგ, სისტემატურად მოისმინონ სკოლების დირექტორების ანგარიშები სკოლებში სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვისა და მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის მდგომრეობის შესახებ;

გ) უზრუნველყონ სასკოლო ბუფეტები და სასადილოები

შესაფერისი სათავსოებითა და მოაწყონ სავაჭრო-ტექნოლოგიური და სამაცივრო დანადგარებით, ამასთანავე, დაუყოვნებლივ ეცადონ ვისუფლონ ბუფეტებისა და სასადილოებისთვის განკუთვნილი სათავსოები და გამოიყენონ ისინი პირადი დანიშნულებით; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ბუფეტისათვის ფართის გამოყოფას სჭირდება რაიმე ცვლილების შეტანა არსებული ოთახების განლაგებაში, საკითხი უშუალოდ დააყენონ განათლების სამინისტროს წინაშე მისი უფრო კვალიფიციურად გადაწყვეტისათვის;

დ) აკრძალონ სასკოლო ბუფეტებში მოსწავლეთა მიერ საუზმის ფულით შეძენა და მტკიცედ დანერგონ პრაქტიკაში მხოლოდ კვების ტალონებით ვაჭრობა.

სკოლების დირექტორებმა:

ა) მიიღონ ზომები სკოლებში სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმისა და სკოლის მუშაკთა მიერ პირადი ჰიგიენის დასაცავად;

ბ) არ დაუშვან სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმისა და სასკოლო შენობის დასუფთავების წესების დარღვევა. სანიმუშო სისუფთავე და წესრიგი დაამყარონ და სისტემატურად დაიცვან იგი სასკოლო შენობაში;

გ) მოაწესრიგონ სასკოლო ბუფეტებში მასწავლებელთა და მშობელთა მორიგეობა და მოსამზადებელი პირველი და მეორე კლასის მოსწავლეთათვის კვების პროდუქტების კლასშივე მიტანა;

დ) სისტემატური კონტროლი განახორციელონ სასადილოებსა და ბუფეტებში გამყიდველთა მუშაობაზე, გადამჭრელი ზომები მიიღონ მათ მიმართ, ვინც არაკეთილსინდისიერად ეკიდება მოსწავლეთა კვების საქმეს;

ე) მოაწესრიგონ საკლასო ოთახებში მერხების განლაგება მოსწავლეთა ასაკის მიხედვით დადგენილი სანიტარულ-ჰიგიენური წესების შესაბამისად; არ დაუშვან გაკვეთილებს შორის შესვენებებსა და ცვლებს შორის ინტერვალის შემცირება; უზრუნველყონ ტუალეტის ოთახები საჭირო ჰიგიენური მოწყობილობითა და სადეზინფექციო მასალით;

ვ) ყველა საკლასო ოთახსა და კაბინეტში, სადაც არ არის სარკმელი ან სავენტილაციო მოწყობილობა, უზრუნველყონ სარკმლების მოწყობა 1973—1974 სასწავლო წლის დაწყებამდე.

ზ). პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე პერიოდულად განიხილონ სასკოლო ექიმების ანგარიშები სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვა და მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

3. განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთა სამმართველომ (ს. არველაძე) უახლოეს დროში უზრუნველყოს რესპუბლიკის სკოლების ქიმიის კაბინეტები ამწოვი კარადებით.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, რათა მარჯვენა და მარცხენა ნაპირის ტრესტებმა:

ა) უზრუნველყონ სასკოლო ბუფეტებში პროდუქტების შეზიდვა დილის 8 საათამდე და ტარის დროულად გატანა;

ბ) შეწყვიტონ სასკოლო ბუფეტებში მაღალფასიანი პროდუქტების შეტანა;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეთა კვების გაუმჯობესებას.

5. მეთვალყურეობა ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. რ. კანდელაკი).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 5 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 13 აპრილის ბრძანება № 283

სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო ბაგა-ბაღების, სასკოლო-ინტერნატებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების შენობების, ეზო-გარემოს და დგამ-ავეჯის მოვლა-დაცვის საქმის გაუმჯობესების შესახებ

ადგილზე ჩატარებული შემოწმებით გამოვლინდა, რომ განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა ერთგვარად შეასუსტეს ყურადღება მათზე დაქვემდებარებულ სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა შენობა-ნაგებობისა და მათში განლაგებული დგამ-ავეჯის მოვლა-დაცვის საქმისადმი.

რიგ შემთხვევებში ახლად აგებულ სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა შენობებში ცალკეული ნაწილების დროულად შეუკეთებლობისა და მოუვლელობის გამო დაწესებულ ვადაზე ადრე გამოდის მწყობრიდან შენობა-ნაგებობები, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ავარიული და ექსპლოატაციისათვის უვარგისი როგორც შენობების, ისე დგამ-ავეჯის რაოდენობა.

იშვიათი არაა, როდესაც ამ უკანასკნელი 8-10 წლის წინათ აგებული შენობები მხოლოდ მოუვლელობის გამო უკვე უვარგისია საექსპლოატაციოდ და კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სკოლა-ინტერნატების შენობათა კომპლექსის სანიტარული კვანძები, წყალსადენ-კანალიზაციის, ცენტრალური გათბობის სისტემა, ელექტროგანათების მოწყობილობა, საქვაბე მეურნეობა და გარე საინჟინრო გაყვანილობანი.

ბევრი სკოლის შენობაში სახურავის შეუკეთებლობის გამო ჩამონადენი წვიმის წყლებით ზიანდება ჭერ-კედლები და შელესვა. წყალსაწრეტი მილების უვარგისობის ან მათი ჩამოცვენის შედეგად წვიმის წყლისაგან ირეცხება შენობის ფასადები; იმის გამო, რომ დაზიანებულია შენობის ირგვლივ ასფალტის ან ბეტონის სარინე-

ლი, ზედაპირული და წვიმის წყლები უშუალოდ ჩადის საძირკვლში და აზიანებს მთელ შენობას.

ხშირია შემთხვევა, როდესაც სასწავლო-საალმზრდელო დაწესებულებაა ხელმძღვანელები, განსაკუთრებით კი სკოლის დირექტორები დროზე არ ღებულობენ ზომებს შენობის დაზიანებული ნაწილების შესაკეთებლად, ამიტომ მრავალ შენობაში ჩამტვრეულია ფანჯრის მინები; რომელთა ნაცვლად დიქტი, მუყაო ან თუნუქის ნაჭრებია აკრული, კარ-ფანჯრებზე მოგლეჯილია სახელურები, საკეტები, რის გამო ისინი დალურსმულია და აღარ იღება. კედლები დასვრილიე მელნით ან დაჯღაბნილია; პარკეტის იატაკი და ფილები აყრილია.

საპირფარეშოებში მოშლილია წყალსადენ-კანალიზაციის გაყვანილობა, იატაკზე იღვრება წყლები, რის შედეგად ფეხით გამოტანილი უსუფთაობა ვრცელდება მთელ შენობაში, ხოლო იატაკი სისველის გამო ნესტიანდება, აზიანებს შენობის კედლებს და გამოყავს ისინი მწყობრიდან.

მოუწესრიგებელია აგრეთვე სასკოლო ინვენტარისა და ავეჯის მოვლა-დაცვის საქმე, რაც იმით აიხსნება რომ პედპერსონალი არ უწევს საჭირო ზედამხედველობას მოსწავლეებს და ამის გამოა, რომ ხშირ შემთხვევაში მერხები მორყეულია, საყრდენები მოშლილია ან დამტვრეული, გარეპირი აჭრელებულია ამონაჭერებით, წარწერებით, დასვრილია მელნით; მოუვლელია აგრეთვე კარადები, რომელთა უმრალვესობა შეუმინავია და თაროების გარეშეა, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობილობა და სხვა.

არ ექცევა სათანადო ყურადღება სკოლის ეზო-გარემოს, რომლის უმეტესობა დანაგვიანებულია, კეთილმოუწყობელია და დატოვებულია გამწვანების გარეშე.

სასწავლო-საალმზრდელო დაწესებულებათა შეობებისა და მათში განლაგებული დგამ-ავეჯის მოვლისადმი ასეთი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტები დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და პედკოლექტივის მხრივ შეიმჩნევა ვანის რაიონის კიროვის სახელობის, ზუგდიდის მესამე, სამტრედიის სპეცსკოლის, გარდაბნის რაიონის ნორიოს, ახალციხის რაიონის აწყურის, დმანისის რუსული, ორჯონიკიძის რაიონის კიცხის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, დიღმის საშუალო, გაგრის, ფოთის, ზესტაფონის, წალკის საშუალო, გეგეჭკორის რაიონის სალხინოს, ზუგდიდის რაიონის ახალ კახათის, აგრეთვე მესტიის, ლენტეხის, წითელწყაროს,

გურჯაანისა და რიგი სხვა ქალაქებისა და რაიონების სკოლების, სკოლა-ინტერნატების საბავშვო და სკოლისგარეშე დაწესებულებათა შენობებში: მაგალითად, ზუგდიდის რაიონის ახალ კახათის სკოლას დაუზიანდა შენობის ირგვლივ საინჟინრო თვალსაზრისით მოწყობილი საძირკვლის დამცველი სარინელი, სკოლის შენობა აგებულია სულ რამდენიმე წლის წინათ, მაგრამ სარინელის დროზე შეუკეთებლობის გამო შენობის სახურავიდან ჩამონადენი წვიმის წყლები უშუალოდ ჩადიოდა შენობის საძირკვლებში, დაალპო მისი ფუძე და არათანაბრად დააჯინა შენობა, რამაც გამოწვია შენობის უეცარი დეფორმაცია და მეცადინეობის შეწყვეტა. ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი მაიაკოვსკის რაიონის ობჩის პირველ, მეორე, დუშეთის რაიონის მაღაროსკარის, ორჯონიკიძის რაიონის კიცხის, ზესტაფონის და სხვა ახლად აგებულ სკოლის შენობებზე, რაც შენობა-ნაგებობებისადმი დასახელებული სკოლების დირექტორების უსულგულო და სრულიად უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგია.

ბოლო ხანს გახშირდა შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი სკოლის დირექტორი, მიუხედავად კატეგორიული აკრძალვისა, საქართველოს სსრ სამინისტროს თანხმობის გარეშე თვითნებურად ატარებს სკოლის შენობის რეკონსტრუქციას, აუქმებს პროექტით გათვალისწინებულ ზოგიერთ სათავსოს, ადიდებს ან ამცირებს ზოგიერთი ოთახის ფართობს, ხსნის არსებულ ტიხრებს და აყენებს მათ ახლ ადგილას, რითაც ამახინჯებს შენობაში ოთახების განლაგებას და არღვევს შენობის პროექტით მიღებულ სტრუქტურას; ასე მაგალითად, კარდანახის საშუალო სკოლის ახალ კორპუსში, სახელმწიფო ნორმების მიხედვით გათვალისწინებული იყო სასადილო სამზარეულოთი. სკოლის დირექტორმა გააუქმა სასადილო და მის ნაცვლად მოაწყო სხვა დამხმარე ოთახები და თავისი კაბინეტი; ამავე რაიონის ვაზისუბნის საშუალო სკოლის შენობაში თვითნებურად გადატიხრეს პროექტის მიხედვით აგებული რეკრიაციები, რითაც დაამბნელეს და დაამახინჯეს სკოლის შენობა; საგარეჯოში ახლად აგებულ სკოლაში დირექტორმა თვითნებურად გააუქმა სკოლის შიგნით გათვალისწინებული საპირფარეშოები და ცივ იატაკზე მოაწყო პიონერთა ოთახი, მანვე გადააადგილა სასადილოს, სამზარეულოს და სამასწავლებლოს ტიხრები, რითაც შეცვალა და დაამახინჯა პროექტით გათვალისწინებული დაგეგმარება.

მსგავს თვითნებობას აქვს ადგილი გაგრის ახლად აგებულ ქართული დმანისის რუსულ საშუალო და რიგ სხვა სკოლებისა და აგრეთვე სკოლა-ინტერნატების შენობებში.

ამასთან ერთად, ზოგან სასკოლო შენობებში თვითნებურად შეყავთ წყალსადენი, ეს იმ დროს, როდესაც ამ შენობაში საკანალიზაციო გაყვანილობა საერთოდ არ არსებობს და რასაც შედეგად მოსდევს შენობის იატაკისა და კედლების დაზიანება-დეფორმაცია; ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა დმანისის, ფოთისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების მრავალ სკოლაში.

შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობისადმი ყურადღების შენელების შედეგად გასულ წელს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიების ჩაუტარებლობის გამო რამდენიმე სასკოლო შენობა დაიწვა რესპუბლიკაში, რის გამო სკოლების დირექტორები მოიხსნენ სამუშაოდან, ხოლო ზოგი მათგანი მიეცა პასუხისგებაში.

სასწავლო-სააღმზრდელო და საბავშვო დაწესებულებათა ხელმძღვანელების მხრივ შენობა-ნაგებობებისადმი ასეთ უპასუხისმგებლო დამოკიდებულება დიდი საშიშროების წინაშე აყენებს მოსწავლეთა და პედაგოგთა სიცოცხლეს, შენობათა არსებული ფონდის შენარჩუნების, ინვენტარ-მოწყობილობის მოვლისა და დაცვის საქმეს, რის გამო,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

წინადადება მიეცეთ სკოლების, სკოლა-ინტერნეტების, სასკოლო ინტერნატების სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების დირექტორებსა და გამგეებს: გადამწყეტი ზომები მიიღონ ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, შენობების, დგამ-ავეჯისა და ეზო-გარემოს მოვლა-დაცვაში სრული წესრიგის დასამყარებლად და ამ საქმეში სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსწავლეების პასუხისმგებლობის გადაჭრით ასამაღლებლად.

— ვავალებ მათვე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ ყოველთვის სრულ წესრიგში იქონიონ სანიტარული კვანძები, ცენტრალური გათბობის სისტემა, წყალსადენ-კანალიზაციისა და ელექტრო-გაყვანილობა, სრული სანიტარული წესრიგი დაამყარონ როგორც შენობის შიგნით, ისე მის გარეთ.

— საგანგებო ადგილი დაეთმოს სკოლის ეზოს კეთილმოწყობის საქმეს, მწვანე ნარგავების გეგმიანად გაშენებას, მათ გახარებას და აგროტექნიკური წესების სისტემატურად გატარებას.

— კატეგორიულად ვკრძალავ სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სასკოლო ინტერნატების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა შენობებზე მიშენება-დაშენებისა და რაიმე რეკონსტრუქცია-გაფართოების, გადატიხვრისა და საინჟინრო გაყვანილობათა ჩატარებას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგანგებო

ნებართვისა და სათანადო ტექნიკური დოკუმენტაციის გარეშე.

— ვაფრთხილებ სასკოლო, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელმძღვანელებს, რომ მომავალში განათლების სამინისტრო მკაცრ ადმინისტრაციულ ზომებს მიიღებს იმათ მიმართ, ვინც ვერ უზრუნველყოფს ამ ბრძანების შესრულებას.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებების გამგებმა სისტემატური ზედამხედველობა დააწესონ სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა შენობებისა და მათი ეზო-გარემოს დაცვასა, კეთილმოწყობასა და მოვლა-პატრონობაზე; შენობების რომელიმე ნაწილის დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები მის შესაკეთებლად.

— არსებითად გააუმჯობესონ ზედამხედველობა სკოლების ეზო-გარემოს გაშენება-გამწვანებისა და დაცვის საქმისადმი, მიაღწიონ იმას, რომ თითოეულ სასკოლო, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულების ეზო სანიმუშოდ იყოს კეთილმოწყობილი, გამწვანებული და მოვლილი.

— კონკრეტული ზომები შეიმუშაონ, რათა შენობების, ეზო-გარემოს, დგამ-ავეჯის მოვლა-დაცვასა და პატრონობაზე პასუხს აგებდეს სკოლის ყველა მუშაკი, მასწავლებელთა კოლექტივები, მოსწავლეები და მათი მშობლები.

— მთელი სიმკაცრით დაისაჯონ სკოლებსა და სხვა სასწავლო-საალმზრდელო დაწესებულებების ის ხელმძღვანელები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ამ ბრძანებით მათზე დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის, სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოებმა, სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ დააწესონ ზედამხედველობა და კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე და შედეგების შესახებ პერიოდულად მოახსენონ კოლეგიას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 15 მარტის კოლეგიის სხდომის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 24 აპრილის ბრძანება № 307

ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 მარტის № 143 დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ

1973 წლის 6 მარტს საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების შესახებ“.

ითვალისწინებენ რა ტყის, როგორც სუფთა ჰაერის ბუნებრივი აუზის, წყლის ბალანსის რეგულატორის როლს, აგრეთვე მის აღმზრდელობით და ესთეტიკურ ზეგავლენას ადამიანზე, თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონებში სატყეო მეურნეობის წარმოების ძირეული გაუმჯობესებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებულია მთელ რიგ ღონისძიებათა გატარება მწვანე ნარგავთა ფართობების გასაზრდელად, აგრეთვე არსებული ტყეების გაუმჯობესებისა და ახალი ტყეების გაშენების, ბუნებრივ საუნჯეთა დაცვისა და წესრიგის უზრუნველყოფისათვის მასობრივი დასვენების ადგილებში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზემოხსენებული დადგენილების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მოსწავლეთა შორის ტყის სიმდიდრის მნიშვნელობის პროპაგანდის მიზნით, მშობლიური ბუნებისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობის აღსაზრდელად ფართოდ გაშალონ სკოლებში მუშაობა „სასკოლო მეტყეველობის" შესაქმნელად და აქტიურად ჩააბან მის საქმიანობაში მოსწავლეები;

ბ) სისტემატური, ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა აწარმოონ მოსწავლეთა შორის ბუნების დაცვისა და მშრომელთა დასვენების ადგილებში წესრიგის უზრუნველსაყოფად. მიაღწიონ იმას, რომ თითოეული მოსწავლე სიყვარულითა და სიფრთხილით ეპყრობოდეს ბუნებრივ სიმდიდრეს. ჩვენს ტყეებს, მონაწილეობდეს ტყის სიმდიდრეთა დაცვასა და გამრავლებაში.

2. თბილისისა და რუსთავის სახალხო განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. თ. ეგაძემ და ა. შერვაშიძემ) უზრუნველყონ თბილისისა და რუსთავის სკოლების მიერ ტყეების გაშენებაში, მშრომელთა დასვენების ადგილების მოწყობასა და სატყეო ნაკვეთებზე შესასრულებელ სამუშაოებში აქტიური მონაწილეობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მიერ შემუშავებული დებულებისა და პროექტების შესაბამისად.

3. განათლების სამინისტროს სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საღამოს (ცვლის) სკოლების სამმართველოებმა (ამხ. ამხ. რ. კანდელაკმა, თ. ნიკოლაიშვილმა და ვლ. ჩინჩალაძემ) განახორციელონ მეთვალყურეობა ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 28 აპრილის ბრძანება № 324

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების: თბილისის, რუსთავის, თელავის, გურჯაანისა და ზესტაფონის რაიონების განათლების განყოფილებათა ესთეტიკური აღზრდის ინსპექტორ-მეთოდისტების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა ინსპექტორ-მეთოდისტებად ესთეტიკური აღზრდის დარგში ძირითადად შერჩეულია კვალიფიციური კადრები. ისინი ესთეტიკური ციკლის საგნებისა და მხატვრული წრეების მასწავლებელთა და ხელმძღვანელთა პედაგოგიური ოსტატობის ამაღლების მიზნით ატარებენ პრაკტიკულ მუშაობას, აწყობენ მასობრივ ღონისძიებებს, ღია და დახურულ აკადემიურ კონცერტებს და სხვ.

ინსპექტორ-მეთოდისტებს სამუშაო გეგმებში გათვალისწინებული აქვთ მნიშვნელოვანი საკითხები, ყურადღებას ამახვილებენ ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც მიმართულია აკადემიური მოსწრების დონის ამაღლებისაკენ, კარგად აღრიცხავენ ჩატარებულ მუშაობას. სათანადო ყურადღებას უთმობენ მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას, მაღალი პასუხისმგებლობით ამზადებენ საკითხებს სამინისტროების კოლეგიებისა და განათლების განყოფილებათა სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განსახილველად; სისტემატურად ამოწმებენ გაკვეთილებსა და საწრეო მუშაობას, ატარებენ სემინარებსა და მეთოდურ თათბირებს.

ამ მხრივ გამოირჩევიან აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქუთაისის, ქ. თელავისა და ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ინსპექტორ-მეთოდისტები: გ. იაკოვლევა, ო. სიუკაევი, თ. ლეჟავა, ა. ზუროშვილი და ს. დავითულიანი.

მიუხედავად აღნიშნულისა, რიგი ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებების ინსპექტორ-მეთოდისტების მუშაობას ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებები: ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა ესთეტიკური ციკლის ყველა საგნის სწავლების დონეს, წრეობრივი მუშაობის მასობრიობასა და ხარისხს, მის აღმზრდელობით მნიშვნელობას. მოუწესრიგებელია მათი სამუშაო დღის რეჟიმი ან საერთოდ არა აქვთ, ან თუ აქვთ ფორმალურადაა შედგენილი სამუშაო გეგმები. ასევე არადამაკმაყოფილებელია ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა. უმეტეს შემთხვევაში ინსპექტორ-მეთოდისტები იფარგლებიან მუსიკალური სტუდიების მუშაობის შემოწმებით. არ აწყობენ დარგობრივ თეორიულ კონფერენციებს, თემატურ ლექცია-კონცერტებს, მეთოდურ შეკრებებს, გამოფენებსა და დათვალიერებებს, არ აწყობენ მოწინავე პედაგოგებისა და თემატურ-ლექცია კონცერტებს, მეთოდურ შეკრებებს, გამოფენებ წრის ხელმძღვანელთა გამოცდილების განზოგადებას. ზოგიერთი მათგანი გადატვირთულია შეთავსებით. ასეთი მდგომარეობაა მაგალითად, ქ. თბილისის 1-ლი მაისის სახ. რაიონსა (ინსპექტორ-მეთოდისტი ალ. ნარჩემაშვილი) და ქ. რუსთავში (ინსპექტორ-მეთოდისტი გ. მუჯირი). ინსპექტორ-მეთოდისტების სუსტი მუშაობის გამო დაბალია შრომის დისციპლინა და აკადემიური მოსწრება. ქ. რუსთავის, ქ. თბილისის კიროვის, 26 კომისრისა და გურჯაანის რაიონების მუსიკალურ სტუდიებში (ინსპექტორ-მეთოდისტები გ. მუჯირი, ალ. ლორია, თ. კობერიძე, თ. მახარაშვილი).

ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ უთმობს პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებას. მაგ. 1973 წლის თებერვალში მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე ქ. თბილისის რაიონებმა 35-ის ნაცვლად 13 მუსიკის მასწავლებელი მიავლინეს, ხოლო რუსთავმა, ნაცვლად 10-ისა მხოლოდ ორი.

ინსპექტორ-მეთოდისტების ნაწილი სერიოზულად არ ეკიდებოდა მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, არასაკმაოდ ზრუნავს ზემდგომი ორგანოების დადგენილებების, ბრძანებებისა და მითითებათა განსახორციელებლად.

1972 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა ქორეოგრაფიული სტუდიების დებულება, 1973 წლის აპრილში შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ თბილისის ლენინის სახ. რაიონის 13 სკოლიდან, სადაც ქორეოგრაფიული წრეებია ჩამოყალიბებული, აღნიშნული დებულებით მხოლოდ ორი მუშაობს.

ზოგიერთი განათლების განყოფილება სათანადო ყურადღებას არ უთმობს ამ დარგის ინსპექტორ-მეთოდისტთა მუშაობას, არ უწევს კონტროლს მათ საქმიანობას. ზოგ შემთხვევაში განათლე-

ბის განყოფილებათა გამგეები ინსპექტორ-მეთოდისტების მიერ ყოველგვარი წინასწარი შემოწმების გარეშე ნიშნავენ ამ დარგის სპეციალისტებს, არ განიხილავენ და არ ამტკიცებენ ინსპექტორ-მეთოდისტის სამუშაო გეგმებს, არ შეაქვთ ესთეტიკური აღზრდის საკითხები განათლების განყოფილების სამუშაო გეგმაში და არ იხილავენ მათ სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

I. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ესთეტიკური აღზრდის დარგში მეთოდისტ-ინსპექტორებად მომზადებული, სათანადო განათლებისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტების შერჩევას. კონტროლი გაუწიონ მათ მიერ ჩატარებულ მუშაობას, განიხილონ და დაამტკიცონ მათი სამუშაო გეგმები, ესთეტიკური ციკლის საგნების პედაგოგები და წრის ხელმძღვანელები შეარჩიონ და დანიშნონ ინსპექტორ-მეთოდისტებთან შეთანხმებით, ხოლო იქ, სადაც ასეთები არ არიან, მოითხოვონ ესთეტიკური აღზრდის საბჭოს რეკომენდაცია;

ბ) სერიოზული ყურადღება დაუთმონ სამინისტროებისა და განათლების განყოფილებათა სამუშაო გეგმებში ესთეტიკური აღზრდის საკითხებს, კოლეგიებისა და სახალხო განათლების სხდომებზე პერიოდულად მათ განხილვას;

გ) აღმოუჩინონ ქმედითი დახმარება ინსპექტორ-მეთოდისტებს შემოქმედებითი ინტელიგენციის ფართო აქტივის შემოკრების საქმეში. შექმნან მეთოდგაერთიანებები დარგების მიხედვით და ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ მათი მუშაობის ჯეროვან სიმაღლეზე დასაყენებლად;

დ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ესთეტიკური ციკლის საგნებისა და წრეების პედაგოგ-ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, სისტემატურად მოაწყონ ადგილობრივი და მოწვეული ძალებით სემინარები, მეთოდური შეკრებები და გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

ე) გაუწიონ კონტროლი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და მისი ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის მიერ გამოცემული დოკუმენტების: დებულებების, დადგენილებების, მეთოდური ბროშურებისა და სხვ. სკოლებამდე დაყვანას და მათ განხორციელებას.

ვ) მიაღწიონ ინსპექტორ-მეთოდისტებისა და სკოლების კლას-

გარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ორგანიზატორების მუშაობის კოორდინაციას, აამაღლონ ორგანიზატორების როლი და წაახალისონ მათი ინიციატივა მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების საქმეში, იზრუნონ მათი ზოგადი მომზადებისა და გამოცდილების ამაღლებისათვის ესთეტიკურ დარგში.

ზ) ფართოდ დანერგონ საქალაქო, რაიონული და საოლქო კონცერტების, დათვალიერებების, ხელოვნების მუშაკებთან შეხვედრების, კონკურსების, გამოფენებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების მოწყობა;

თ) მოსთხოვონ ინსპექტორ-მეთოდისტებს შესაბამის საგნებში გაკვეთილების სისტემატური მოსმენა, წრეების მეცადინეობაზე დასწრება და მათი საქმიანობის საფუძვლიანი ანალიზი, ყოველი კვარტალის ბოლოს მოითხოვონ მათგან მოხსენებითი ბარათები ჩატარებული მუშაობის შესახებ როგორც განათლების სამინისტროებისა და განყოფილებებისათვის, ისე ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტისათვის.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სამუშაოდან განთავისუფლებული არიან ქ. თბილისის კიროვის, გურჯაანის, და ზესტაფონის რაიონების განათლების განყოფილებეთა ესთეტიკური აღზრდის ინსპექტორ-მეთოდისტები: ალ. ლორია, თ. მახარაშვილი და ლ. კანდელაკი.

3. დაევალოს ქ. თბილისის 1-ლი მაისის რაიონის (ნ. ჯორბენაძე) და ქ. რუსთავის (ავ. შერვაშიძე) განათლების განყოფილებებს განიხილონ საკითხი ალ. ნარჩემაშვილისა და გ. მუჯირის ინსპექტორ-მეთოდისტებად შემდგომში მუშაობის შესაძლებლობის შესახებ.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ალ. კვაჭაძე) განიხილოს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის თხოვნა აჭარის ასსრ რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებისათვის მეთოდისტების საშტატო ერთეულების გამოყოფის შესახებ.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) და მისმა რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ჯ. მუჯირი) მიმდინარე წლის დეკემბერში კვლავ შეისწავლოს ესთეტიკური აღზრდის ინსპექტორ-მეთოდისტების მუშაობის საკითხი და შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 28 აპრილის ბრძანება № 326

თელავისა და შუამთის საბავშვო სახლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

თელავისა და შუამთის საბავშვო სახლების (დირექტორები ამხ. ამხ. ნ. გომურაშვილი, გ. კირვალიძე) მუშაობის შესწავლამ ცხადყო, რომ საბავშვო სახლებს გარკვეული წარმატებები აქვთ მოპოვებული სააღმზრდელო მუშაობასა და აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ აღნიშნულ საბავშვო სახლებში აღმზრდელები: ნ. არუთინოვა, თ. ჭიჭიაშვილი და ჯ. ხოლუაშვილი. მათ მიერ სააღმზრდელო სამუშაო გეგმები შედგენილია აღსაზრდელთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებით.

საბავშვო სახლების ყველა ობიექტზე დაცულია სისუფთავე და წესრიგი. აღსაზრდელები გარეგნულად კარგად გამოიყურებიან. აცვიათ მორგებული და სუფთა ტანსაცმელი. აღსაზრდელთა დაავადების შემთხვევას ადგილი არ აქვს, ყველა მათგანი გატარებულია ღრმა სამედიცინო შემოწმებაზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, თელავისა და შუამთის საბავშვო სახლების მუშაობაში კვლავ შეინიშნება მთელი რიგი ნაკლოვანებანი. საბავშვო სახლებში სუსტადაა დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა. თელავის საბავშვო სახლის აღმზრდელები (ტ. რევაზოვი, ლ. როსტომაშვილი) არ ითვალისწინებენ აღსაზრდელთა მიმდინარე აკადემიურ მოსწრებას, არ .აძლევენ მათ საჭირო მითითებებსა და მიმართულებას, არ ნერგავენ მათში დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევებს.

სრულყოფილად არ არის შედგენილი შუამთის საბავშვო სახლის უმცროსი და საშუალო ჯგუფების აღმზრდელების (ნ. ბაბილაშვილი, მ. ბაღათრიშვილი, ნ. ორკოდაშვილი, მ. იჭირული) სამუშაო გეგმები. ისინი მეტწილად გადატვირთულია რეჟიმული მომენტებით.

საბავშვო სახლები ღარიბია მეთოდური და მხატვრული ლიტერა-

ტურით. შუამთის საბავშვო სახლის სააღმზრდელო ჯგუფებში არ აქვთ სათამაშოები და დიდაქტიკური მასალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელავის საბავშვო სახლში დაბალ დონეზეა დაყენებული პიონერული მუშაობა.

საბავშვო სახლებში მოწყობილია ცენტრალური გათბობის სისტემა, მაგრამ გასული წლის დიდი ყინვების შედეგად იგი ორივე საბავშვო სახლში დაზიანებულია, გამოსულა მწყობრიდან და დღემდე უმოქმედოა, რის გამოც საბავშვო სახლების გათბობა თუნუქის ღუმელებით ხდება.

სივიწროვეა ორივე საბავშვო სახლის საძინებელ და სააღმზრდელო ოთახებში. შუამთის საბავშვო სახლში ადგილი ჰქონდა ორი ბავშვის ერთ საწოლზე მოთავსების შემთხვევას. საბავშვო სახლებში კეთილმოუწყობელია აბანო, სამრეცხაო, პირსაბანები, სამზარეულო და ჰიგიენის ოთახი.

შუამთის საბავშვო სახლში ბავშვების დაბანა სააღმზრდელო ჯგუფებში ხდება.

საბავშვო სახლები განიცდიან რბილი და მაგარი ინვენტარის ნაკლებობას: საწოლები, ლეიბები, საბნები მოძველებულია და საჭიროებს შეცვლას. განსაკუთრებით უვარგისია შუამთის საბავშვო სახლის მაგარი ინვენტარი.

თელავის საბავშვო სახლს არ გააჩნია იზოლიატორი. ხოლო შუამთის საბავშვო სახლში იზოლიატორი მოთავსებულია შეუფერებელ ოთახში.

საბავშვო სახლები არადამაკმაყოფილებლად მარაგდებიან კვების პროდუქტებით. სისტემატურად არ აქვთ ახალი ხორცი, კვერცხი, თევზი, ლობიო, მწვანილი. სადილები ერთფეროვანია.

თელავისა და შუამთის საბავშვო სახლების მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თელავის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. ა. თვალიაშვილი):

ა) კონტროლი და დახმარება გაუწიოს თელავისა და შუამთის ხაბავშვო სახლებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საქმეში;

ბ) ყოველდღიურად იზრუნოს საბავშვო სახლების აღსაზრდელთა ყოფა-ცხოვრებისა და სწავლა-აღზრდისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად. საბავშვო სახლების მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების მიზნით გამოუყოს მათ საჭირო თანხები რბი-

ლი და მაგარი ინვენტარის შესაძენად. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს აღსაზრდელების ნორმით გათვალისწინებული კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეს.

I I. თელავისა და შუამთის საბავშვო სახლების დირექტორებმა (ამხ. ნ. გომურაშვილი, გ.კირვალიძე):

ა) ქმედითი ზომები მიიღონ სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის, აამაღლონ აღსაზრდელთა ცოდნის დონე;

ბ) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა აღმზრდელთა საქმიანობაზე, მიაღწიონ იმას, რომ თითეული აღმზრდელი საფუძვლიანად ემზადებოდეს საალმზრდელო ჯგუფში მეცადინეობის ჩასატარებლად;

გ) აღმზრდელებმა სამუშაო გეგმების შედგენისას გაითვალისწინონ აღსაზრდელათა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი;

დ) უზრუნველყონ სისტემატური დასწრება საალმზრდელო ჯგუფის მეცადინეობებზე და აღმოუჩინონ მათ საჭირო მეთოდური დახმარება;

ე) მიიღონ სათანადო ზომები რბილი და მაგარი ინვენტარის შესაძენად;

ვ) იზრუნონ აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, არ დაუშვან კვების ნორმების დარღვევა, მიაღწიონ იმას, რომ საბავშვო სახლები სისტემატურად ღებულობდნენ ახალ ხორცს, კვერცხს, თევზს, ლობიოს, ბოსტნეულს და სხვა;

ზ) საბავშვო სახლის პედკოლექტივთან ერთად უზრუნველყონ ეზო-კარმიდამოს კეთილმოწყობა და გამწვანება.

III. კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ (ამხ. ი. უჩანეიშვილი) შეისწავლოს შუამთის საბავშვო სახლისათვის ახალი შენობის აგების შესაძლებლობის საკითხი და წარმოადგინოს წინადადებანი.

IV. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სხდომამ განიხილა თელავისა და შუამთის საბავშვო სახლების მუშაობისშემოწმების შედეგები და გამოვლინებულ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად დასახა საჭირო ღონისძიებანი.

V. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. თ. ნიკოლაიშვილმა) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. ბრძანება № 152—ზაფხულის არდადეგების დროს მშენებლობასა და სასასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში რესპუბლიკის სტუდენტთა და უფროსკლასელთა მასობრივი მონაწილეობის თაობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 6 თებერვლის დადგენილების შესრულების შესახებ 3
2. დადგენილება — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სამუალო სკოლებში საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 7
3. ბრძანება № 195 — გაზეთ „სახალხო განათლების" სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ 14
4. ბრძანება № 228 — კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 16
5. Приказ № 232—Об утверждении отчета по республиканскому бюджету Министерства просвещения Грузинской ССР за 1972 год 19
6. ბრძანება № 257 — გარდაბნის, ბოგდანოვკის, მარნეულის, დმანისის, წალკისა და ბოლნისის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულების მიმდინარეობის შესახებ 21
7. ბრძანება № 249 — სახალხო განათლების დარგში სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის რესპუბლიკური კომისიის შექმნის შესახებ 28
8. ბრძანება № 250 — სამუშაოდან მშრომელთა დათხოვნის დროს შრომითი კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შესახებ . . 29
9. ბრძანება № 260 — 5 — სკოლებსა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში სახანძრო უშიშროების განსამტკიცებლად ჩატარებული მუშაობის შესახებ 32
10. ბრძანება № 252 — თეთრი წყაროს რაიონში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ 34
11. ბრძანება № 253 — ქ. ქ. თბილისის, გორისა და გურჯაანის რაიონის სკოლების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის შემოწმების შედეგების შესახებ . . 38
12. ბრძანება № 283 — სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო ბაგა-ბაღების, სასკოლო ინტერნატებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების შენობების, ეზო-გარემოს და დგამ-ავეჯის მოვლა-დაცვის საქმის გაუმჯობესების შესახებ 44

ეროვნული
ბიბლიოთეკა

13. ბრძანება № 307 — ქ. ქ. თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 მარტის № 143 დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ 46
14. ბრძანება № 324 — ასსრ განათლების სამინისტროების, ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. თბილისის, რუსთავის, თელავის, გურჯაანისა და ზესტაფონის რაიონების განათლების განყოფილებათა ესთეტიკური აღზრდის ინსპექტორ-მეთოდისტების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 51
15. ბრძანება № 326 — თელავისა და შუამთის საბავშვო სახლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 55